საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფცქვილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 26 თებერვალი, 2015 წელი.

№37 (7682)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

კიევის რუსეთიდან რუსეთის კიევამდე?.. 3



Владимир Пут(ь)-ин-ной

„არემჯი გოლდი“ ხალხს წამლავს, ხელისუფლება დუმს 6

ცრუპენტელა ექსპრეზიდენტის კიდევ ერთი ტყუილი

4

წურბელები „ყაზტრანსგაზში“ 7

დაცულია თუ არა მომხმარებელი კონტრაფაქტული საქონლის შეძენისგან? 12

უთოფო ყაჩაღობა

ჩიორა თაქთაქიშვილი და ეკა ხერხეულიძე სააკაშვილს ფანჯრიდან გადახტომით ემუქრებოდნენ 4

„პენ ძაღლი“ მონოპოლისტი და გაპრეტენზიებული კონკურენციის საგენტო 11

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◉ დღის ამოჩაზურიდან

ვინ არის საქართველოს დამსახურებული ჭორპენტელა?

— უყურე სამშაბათს „რუსთავი-2“-ის ეკრანზე ნაციონალების შუმ აგიტატორ გიორგი გაბუნიას მართლაცდა უსუსურ „სკანდალურ“ გადაცემას?

— ვუყურე, ვუყურე და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ამ საეჭვოდ გალაღებულმა ჯულიეტას ძემ (ამირან დარეჯანის ძე აქ არაფერ შუაშია) სულ მიარღვ-მოარღვია ყოველგვარი ზნეობრიობის საზღვრები. სააკაშვილის ავად ამეტყველებულ კუდად იქცა და იმ კუდიდან ყოველ სამშაბათსა და შაბათს უხვად იწოვს ათასგვარ შხამიან ჭორსა და ტყუილს.

— ამ სამშაბათს მაინც აშკარად ჩამოიხსნა ნიღაბი ყბადაღებულ და ყბადაღრენილ ელისო კილაძესთან ერთად, რომელიც სულ ახალ და ახალ დაყვერილ ჭორებს ავრცელებს საზოგადოების ჭკუიდან გადასაყვანად.

— ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ ასე მეჩვენა ეს ეგრეთ წოდებული ორი ჟურნალისტი იმ საღამოს გადაცემაში, რომელიც თავიდან ბოლომდე დღეს უკვე წვერებიან, დამყაყებულ ჭორებზე იყო აგებული და ერთხელ კიდევ ცხადი გახადა, როგორ ძვრება „რუსთავი-2“ ნემსის ყუნწში „ოცნებისთვის“ გვარამიასეული ჯოჯოხეთის მოსაწყობად ბოროტი დამნაშავე ნაციონალების უკან მობრუნების ბნელი მიზნით.

— ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ამ დაუფარავად მავნე, წყალწყალა ჭორაკუდაობის ნახვის შემდეგ აზრი გამიჩნდა, რომ ვინაიდან საქართველოში არცრა ჩვენი ჟურნალისტების გამაერთიანებელი რამე კავშირი, დიდად სამწუხაროდ, ფაქტობრივად და არსებითად აღარ არსებობს, რომელიც დამსახურებისამებრ ამა თუ იმ წოდებას მიანიჭებდა მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელთ, ამიტომ მე შემოვდივარ ასეთი წინადადებით: „რუსთავი-2“-ელ ამჯერად გაუპარსავ აგიტატორს გიორგი გაბუნიას (ჩანს, ძებნილი ექსპრეზიდენტის მოუბრუნებლობას გლოვობს) და „ქრონიკა+“-ის დემაგოგიის დიდოსტატ პუტკუნა რედაქტორს ელისო კილაძეს პოლიტიკური ჭორაობის საქმეში არაერთწლიანი თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს დამსახურებული ჭორპენტელა ჭურნალისტის წოდება და გამოეყოთ ფულადი პრემია სააკაშვილის დროინდელი უშიშროების საბჭოს იმ 24 მილიონის ნარჩენებიდან, რომელსაც, როგორც ცნობილია, არამიზნობრივად ქეშად ხარჯავდა გიგა ბოკერია ნაციონალთა ლობისტებისათვის.

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

EUR	1	ევრო	2.5573
USD	1	აშშ დოლარი	2.2619
GBP	1	დიდი ბრიტანეთის გ/სტ.	3.4935
RUB	100	რუსული რუბლი	3.5876
AZN	1	აზერბაიჯანული მანათი	2.1971
AMD	1000	სომხური დრამი	4.7429
UAH	10	უკრაინული გრივნა	0.7014
TRY	1	თურქული ლირა	0.9127

„სხვა ქვეყნის ძალა ვეღარასოდეს შეცვლის საქართველოს სამსახურში მდგარ სახელმწიფო წყობას“

საქართველოს პრეზიდენტმა იუნკრების ხსოვნას პატივი მიაგო. მარგველაშვილმა 1921 წლის თებერვალში კოჯრის მახლობლად გმირულად დაღუპული იუნკრების ხსოვნას პატივი მიაგო და მათი მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„საუკუნის წინ ოკუპანტთა ჯარმა, რომელთაც, სხვათა შორის, ზურგს ადგილობრივი გამყიდველები უმაგრებდნენ, დაამხო პირველი ქართული რესპუბლიკა. მას შემდეგ ჩვენ, ვინც აღვადგინეთ ქართული სახელმწიფო და დავარქვით მას საქართველო, ვიხსენებთ ამ დღეს და მტკიცედ ვამბობთ, რომ სხვა ქვეყნის ძალა ვეღარასოდეს შეცვლის ჩვენს დამოუკიდებელ, სუვერენულ და საქართველოს სამსახურში მდგარ სახელმწიფო წყობას“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: 25 თებერვალი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში

„94 წლის წინ ქართველი იუნკერებისა და პატრიოტების თავგანწირვამ ვერ იხსნა ჩვენი სამშობლო წითელი ოკუპაციისაგან და საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობა ტრაგიკულად დასრულდა. საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის 70-წლიანმა მმართველობამ დამანგრევლად იმოქმედა ჩვენს ქვეყანაზე, ერის საუკეთესო ნაწილი შეეწირა თავისუფლებისათვის ბრძოლას. კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის მიუხედავად, თავისუფლების იდეა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა არასოდეს ჩამკვდარა ხალხში, არასოდეს შეწყვეტილა თავისუფლებისათვის ბრძოლა. დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ეს მრავალი თაობის თავდადების შედეგია. ჩვენი ვალია, გავუფრთხილდეთ ამ უდიდეს მონაპოვარს, შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა. საქართველოს ნაწილი ისევ ოკუპირებულია, მაგრამ ჩვენ არასოდეს შევეგუებით ამას და ყველა სამშვიდობო ბერკეტს გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნის გასაერთიანებლად. მჯერა, ჩვენ შევძლებთ, მომავალ თაობას დავუტოვოთ გამთლიანებული და წარმატებული სახელმწიფო“, — აღნიშნულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა, მისმა პირველმა მოადგილემ გიორგი ტყემალაძემ და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებმა იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

როგორც გიორგი ალიბეგაშვილმა აღნიშნა, ის გმირები, რომლებიც საკუთარი სამშობლოსთვის ბრძოლაში დაეცნენ, ქართველმა ხალხმა არ უნდა დაივიწყოს.

„დღეს ქართული ერის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი დღეა. ასეთი დღეები ბევრი ახსოვს ჩვენს სამშობლოს და ყოველი მათგანი გვახსენებს, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა გაერთიანდეს და ერთიანად უნდა მოვიგერიოთ მტერი. როდესაც თითოეულ ჩვენგანში ეროვნული ინტერესები წინ იქნება წამოწეული, საქართველო ყველა განსაცდელს გაუძლებს“, — განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში, გმირულად დაღუპულ იუნკერებს წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებმა და აპარატის თანამშრომლებმა.

პრეზიდენტის გადაწყვეტილება კონსტიტუციურ ვადებში გახდება ცნობილი

ამის შესახებ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ განაცხადა, რომელიც არ აკონკრეტებს, აპირებს თუ არა გიორგი მარგველაშვილი ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

კვერენჩხილაძის განმარტებით, პარლამენტის წევრთა 1/4-ის მოთხოვნა რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე სამშაბათს დღის ბოლოს დარეგისტრირდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. გიორგი კვერენჩხილაძე ამბობს, რომ პრეზიდენტი სათანადო გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადებში მიიღებს.

პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, რიგგარეშე სესიის, ან რიგგარეშე სხდომის მოწვევის აქტი პრეზიდენტის მიერ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში გამოიცემა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ასეთ აქტს არ გამოსცემს, პარლამენტი მომდევნო 48 საათის განმავლობაში უნდა შეიკრიბოს.

ნაციონალურმა მოძრაობამ სამშაბათს პრეზიდენტს მიმართა, 27 თებერვალს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა მოიწვიოს, სადაც ეროვნული ვალუტის გაუფასურებასა და ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ ვითარებაზე იმსჯელებენ.

◎ მეტი პრინციპულობა გვმართებს

 # მთავრობამ ევროკავშირს სავაჭრო ნაწილის ცალმხრივად შეჩერება უნდა მოსთხოვოს

დღევანდელ ფისკალურ კრიზისზე ამ ეტაპისთვის გარკვეულ ნეგატიურ გავლენას ახდენს ასოცირების შეთანხმების სავაჭრო ნაწილით გამოწვეული ვალდებულებები. კერძოდ, 1 სექტემბრიდან დროებითი გამოყენებით მოქმედებს შეთანხმების ღრმა და ყოველისმომცველი სავაჭრო ნაწილი (1 სექტემბრიდან, რადგან საქართველოს მხრიდან მისი რატიფიცირებიდან მეორე თვის პირველ დღეს უნდა მომხდარიყო ეს, ანუ საქართველოს პარლამენტს 18 ივლისს რატიფიცირებიდან მეორე თვეს), რაც გულისხმობს ევროპიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო ტარიფის მოხსნას, რაც მაგალითად, ბიუჯეტისთვის მხოლოდ ავტოტრანსპორტზე შეადგენს წლიურ 10 მილიონ ლარამდე დანაკარგს. 10 მილიონი მხოლოდ ავტოტრანსპორტზე, რაც მცირე ნაწილია მთლიანი დანაკარგის, ვინაიდან ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მხოლოდ ავტოტრანსპორტის იმპორტი არ ხდება. არსებული კრიზისის ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობა ცდილობს, აიღოს დამატებითი სესხი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება სავალუტო ფონდი თუ აზიის განვითარების ბანკი ან სხვა, ის აუცილებლად უნდა ეცადოს, რომ ბიუჯეტს შემოსავლების ნაწილში არ ჰქონდეს ისეთი დანაკარგები, რომელთა მიღება სავსებით შესაძლებელია.

ევროკავშირიდან იმპორტს მიახლოებითაც კი ვერ აბალანსებს საქართველოდან ექსპორტი, რაც ნიშნავს, რომ ერთი მხრივ ბიუჯეტი განიცდის დანაკარგს, ვინაიდან ვერ იღებს შემოსავალს, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკასაც არანაირი სარგებელი არ აქვს, ვინაიდან ექსპორტის მოცულობა ძალიან მცირეა. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ ქვეყნისათვის ორმაგად წამგებიანი მდგომარეობაა. ამდენად, გადაუდებელი და აუცილებელია, რომ:

დღეს 26 თებერვლისთვის ბრიუსელში დაგეგმილ პრემიერის ვიზიტთან დაკავშირებით, სადაც დაგეგმილია შეხვედრა ევროკომისიის პრეზიდენტ იუნკერთან, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ ტუსკთან და სხვა ოფიციალურ ხელმძღვანელებთან, სასწრაფოდ გასაკეთებელია შემდეგი: საქართველომ ევროკავშირს უნდა მოსთხოვოს ევროკავშირის მხრიდან ასოცირების დროებით ამოქმედებაში მყოფი ნაწილის ცალმხრივად, დროებით შეჩერება წლის ბოლომდე, როგორც ეს ევროკავშირმა გააკეთა უკრაინის მიმართ.

შეჩერება არ დააზარალებს ქართულ მწარმოებლებს, რომელთაც უკვე გააქვთ საქონელი ექსპორტზე ევროკავშირში და რომლის ოდენობა ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით 21%-ითაა გაზრდილი. სამაგიეროდ, ევროპიდან შემოსული იმპორტი კვლავ დაექვემდებარება საბაჟო გადასახადს, რაც ბიუჯეტისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება, რაც ასე მნიშვნელოვანია არსებულ კრიზისულ სიტუაციაში. პროცედურულად ეს შესაძლებელია და ევროკავშირის მხრიდანაც არ იქნება დიდი წინააღმდეგობა, მით უმეტეს, რომ საქართველოს მოსახლეობა ამ დათმობას ევროკავშირის მხრიდან შეხვდება პოზიტიურად, რაც არანაკლები პოლიტიკური ინვესტირებაა ვიდრე ის თანხები, რომელსაც ამ დროებითი შეჩერებით დაკარგავს ევროკავშირიდან იმპორტი. ეს თავიდანვე უნდა გაკეთებულიყო, მანამ სანამ ხელმოწერა მოხდებოდა, მათ შორის სასაქონლო კვოტების მოქმედების ვადების შემცირებასა და ე.წ. „შესვლის ფასთან“ მიმართებით. შეგახსენებთ, რომ ასოცირებისა და ღრმა და ყოველისმომცველ სავაჭრო შეთანხმებაზე მოლაპარაკებები 2010 წლის 15 ივლისს დაიწყო ევროკავშირის მაშინდელი ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტის ქეთრინ ეშტონის ბათუმში ვიზიტისას და დასრულდა 2013 წლის 22 ივლისს. პარაფირება მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, ამ თარიღიდან 2014 წლის 27 ივნისამდე საქართველოს კვლავ შეეძლო, განეხილა ან/და შეეცვალა კონკრეტული მუხლები. 27 ივნისიდან 18 ივლისამდე კი პარლამენტსაც კიდევ ჰქონდა დრო ემსჯელა შეთანხმების სავაჭრო ნაწილის შესაბამის მუხლებზე შესაბამისი დათქმების გასაკეთებლად, რაც არ გააკეთა. ამიტომ, ახლა, ამ უმაღლესი დონის ვიზიტზე საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობამ უნდა დასვას ეს საკითხი პრინციპულად. თუ ვინმე ჩათვლის, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს რაიმე სახით სავიზო ლიბერალიზაციის პროცესზე, ეს იქნება არასწორი მიდგომა, რადგან ეს ორი საკითხი განყენებულად არსებობს და არსებითი კავშირი მათ არ გააჩნიათ.

ლევან ბოძაშვილი,
ევროკავშირის საკითხთა ექსპერტი;

ნოდარ კაპანაძე,
ეკონომიკის ექსპერტი.

„ქართულ ოცნებას“ არჩევნების ჩატარებისა ეშინია

როგორც „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ბურჯანაძემ „მაესტროს ცხრიანში“ განაცხადა, მაშინ, როცა მისი მეუღლე ბადრი ბიწაძე სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი იყო, საქართველოს ტერიტორიის შიგნით საზღვარი ერთი სანტიმეტრითაც არ გადმოწეულა, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში საზღვარი ათობით სოფელში გადმოვიდა და ამაზე საქართველოს ხელისუფლებას ხმა არ ამოუღია.

„ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ უნდა გავჩუმდეთ, უნდა მოვითმინოთ, ამაზე ხმა არ ამოვიღოთ და ესაა პრინციპულად მნიშვნელოვანი და კიდევ ერთი რამ, როდესაც საუბარია იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს თუ არ უნდა ჩატარდეს, ითქვა ის, რომ „ქართულ ოცნებას“ თურმე არჩევნების არ ეშინია. ძალიან კარგი, ბატონებო, თუ არჩევნების არ გეშინიათ. შეასრულეთ ის დანაპირები, რა დანაპირებიც თქვენ ხალხს მიეცით, მათ შორის საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. შეცვალეთ საარჩევნო გარემო, რასაც ითხოვდით ხელისუფლებაში მოსვლამდე და ამბობდით, რომ ამ კოდექსით არჩევნების ჩატარება არ შეიძლებაო, მაგრამ სწორედაც, რომ არჩევნების ჩატარების ეშინია „ქართულ ოცნებას“ და ძალაში ნაციონალური მოძრაობის დროს მიღებულ საარჩევნო კოდექსს ტოვებს, რომელიც აბსოლუტურად მორგებულია იმაზე, რომ რაც არ უნდა მოხდეს, როგორც არ უნდა მისცენ ხმა ადამიანებმა, მაინც უპირატესობა მმართველ გუნდს ექნება“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნინო გვენეტაძეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მხარი დაუჭირეს

ფარული კენჭისყრისას გვენეტაძის კანდიდატურას ხუთმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ერთს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო ორი ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი. კენჭისყრას წინ უძღოდა ნინო გვენეტაძის მოსმენა, რაც კომიტეტის სხდომაზე ხმაურით წარიმართა.

გვენეტაძისთვის შეკითხვების დასმა მოისურვეს კომიტეტის სხდომაზე მყოფმა იურისტებმა ალექსი კობაიძემ და კახა კობახიძემ, რომლებიც იმ 28-კაციან სიაში იყვნენ, ვინც პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარსადგენად შესთავაზეს. ვახტანგ ხმალაძემ მათ სიტყვის თქმის უფლება არ მისცა, რაც დაპირისპირებაში გადაიზარდა.

Владимир Пут(ь)-ин-ной,

ᲐᲜᲣ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲘᲔᲕᲐᲛᲓᲔ?..

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ პრეზიდენტის გვარ-სახელს თუ ამგვარად გავშლით, საინტერესო კალამბურს მივიღებთ, რომლის „ქართულად ნათარგმანები“ შინაარსი ასეთი იქნება:

ვლადიმერ პუტინი, რუსეთის სხვა გზა!

რაც შეეხება ამ კალამბურის შინაარსის კიდევ ერთ ვარიანტს:

ფლობდე მსოფლიოს, ოღონდაც სხვა გზებით, იქიდან გამომდინარე, რაც დღეს უკრაინაში ხდება, სწორედაც რომ პირიქითაა:

რუსეთი კი არა, რუსეთს ებრძვის აშშ და მთელი „დემოკრატიული დასავლეთი“ მსოფლიო ბატონობისთვის, რასაც უფრო „კორექტულად“, ერთპოლუსიან სამყაროსაც უწოდებენ!

რუსეთი მხოლოდ „ვლადეი კავკაზიდან“ „ვლადეი ვოსტოკამდე“ ტერიტორიების შენარჩუნებისთვის, ანუ საკუთარი ნაციონალური ინტერესებისთვის იბრძვის!

იმ ტერიტორიების, რომლებიც ისტორიულად, გნებავთ, განგებისგან რგებიათ, ან რაც არ რგებიათ, საუკუნეების განმავლობაში საკუთარი სისხლის ფასად მოუპოვებიათ.

რაც, სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ (ვისთვის როგორ რაა), პრინციპში ერთი და იგივეა.

ამის სხვა, საწინააღმდეგო ლოგიკით, „მსოფლიო დემოკრატიის“ ფორპოსტ აშშ-ს, საკუთარი ტერიტორიები მთლიანად სხვისგან, თანაც აბორიგენ ინდიელთა გენოციდის გზით, უკანონოდ აქვს მითვისებული!

ჰოდა, მიდი და წაართვი თუ ბიჭი ხარ, ან ერთი, ან მეორე, მისხალს დაგითმობს?..

რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ უმძიმესი გამოცდების წლებში ქვეყანას სათავეში გენიოსი და შეურყეველი მხედართმთავარი სტალინი ჩაუდგა!

უინსტონ ჩერჩილის ვრცელი ტირადის (რომელიც მან ბრიტანეთის პარლამენტში 1959 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების 80 წლისთავზე წარმოთქვა) ამ ნაწყვეტიდან თუ „გენიოსს“ ამოვიღებთ და „სტალინის“ მაგივრად ვლადიმერ პუტინს ჩავსვამთ, სხვა ყველაფერი ერთი-ერთში ჩაჯდება დღევანდელ რეალობაში:

რუსეთისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ დღევანდელი უმძიმესი გეოპოლიტიკური გამოწვევების ჟამს, ქვეყნის სათავეში სტალინივით შეუდრეკელი მხედართმთავარი და მასავით (რასაც აგრეთვე აღნიშნავს უინსტონ ჩერჩილი) **იუმორისა თუ სარკაზმის ნიჭით დაჯილდოებული ვლადიმერ პუტინია!**

რომელი ერთი გავიხსენოთ ვლადიმერ პუტინის სარკაზმისა თუ იუმორისა?

ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად რამდენიმეს გავიხსენებ:

ჩვენ სუვერენული დემოკრატია გვაქვს!

ანუ თქვენთან, რაც უმაღლეს კულტურად ითვლება, ჩვენთან გეიპარადები „არ მოსულა“, პირდაპირ მიახალა ერთ დასავლეთელ ჟურნალისტს, რომელმაც, რომ იტყვიან, შეუკიკინა რუსეთის პრეზიდენტს, ლგბტ-პედერასტებს რატომ ხელისგულზე არ ატარებთ ჩვენსავითო...

ანდა ის რად ღირს, თუ როგორ ბოლობდე უერთგულა მეგობარს?

დიახ მეგობრობას, თორემ რომ არა ეს უძვირფასესი ნიჭი ადამიანისა, რასაც მეგობრობა და ძმაკაცობა ჰქვია, რა რჯიდა პუტინს მისთვის პრაგმატულად წამგებიანი ნაბიჯი გადაედგა და პოლიტიკურად უკვე ჩამოწერილ იტალიის ყოფილ პრემიერსა და უფრო მეტიც, დიდი ალბათობით დასაპატიმრებელ სილვიო ბერლუსკონის გამოექომაგა და თანაც, როგორი იუმორით, სარკაზმით, რის გამოც მთელი ნეოლიბერალური დასავლეთი სამუდამოდ გადაიმტერა?

ბერლუსკონის იმიტომ სდევნიან, რომ მას ქალებთან წოლა უყვარს, მაგრამ იგი რომ ჰომოსექსუალი იყოს, ხელსაც არავინ ახლებდა!

ანდა...

ამერიკელებს უნდათ, რაც და როგორც უნდათ ის აკეთონ და ჩვენ ის უნდა ვაკეთოთ, რის უფლებასაც ამერიკელები მოგვცემენ — არ იქნება ასე, დათვი არავის შეეკითხება, რა უნდა აკეთოს, ის ხომ ტაიგის ბატონია?!

ან კიდევ ამერიკის პრეზიდენტ ბუშთან დიდი რვიანის ფორმატში ერთი-ერთზე საუბრიდან...

ჯორჯ! შენ ხომ იცი, რომ უკრაინის ტერიტორიის ნახევარი აღმოსავლეთ ევროპა იყო და ნახევარი ჩვენ, რუსეთმა ვაჩუქეთ?

მსგავსი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ იმის საილუსტრაციოდ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ყოველთვის პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ყველასთვის გასაგებად ყველაფერს თავის სახელს არქმევს, მგონი, მოყვანილი გამონათქვამებიც კმარა.

იმ მაგალითიდან კი, რაც დღეს ხდება უკრაინაში, ადვილი წარმოსადგენია თუ რა მოხდებოდა სსრკ-ში, ქართველი სტალინის ნაცვლად, რომ ლევ დავიდოვიჩ ტროცკის გაემარჯვა და ასევე — ვაჟკაცი (მუჟიკი) პუტინის ლიდერობისას, როგორ უჭირს რუსეთს მსოფლიო მასონ გლობალისტთა ტოტალური შეტევის მოგერიება და ხომ წარმოგიდგენია, რა იქნებოდა დღეს, რომ რუსეთის სათავეში ტყლიპიანი გორბაჩოვი, ან ალკოჰოლიკი ელცინი ყოფილიყო?

„დღეს რაც ხდება უკრაინაში“, მხოლოდ მიმდინარე სამოქალაქო ომი არ იგულისხმება!

ანუ, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ე.წ. ცივი ომი მხოლოდ ცალმხრივად, რუსეთის მხრიდან შეწყდა, ხოლო ეს ცივი ომი ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია აშშ-ის მეთაურობით მთელს დასავლეთ ევროპას...

გასული წლების განმავლობაში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა რუსეთის ე.წ. „ვიდავლენიე“, მსოფლიო გეოპოლიტიკიდან. პარალელურად, იმ დაპირების მიუხედავად, რომ ბერლინის კედლის დანგრევის სანაცვლოდ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა, გაფართოვდა კიდეც და რუსეთის საზღვრებთან სოკოებივით მომრავლდა ნატოს სამხედრო ბაზები!

ის კი, რაც უკრაინაში ხდება, ზბიგნევ ბჟეზინსკის თეორიის — „რუსეთი, უკრაინა, ბელორუსიასთან ერთად გლობალური პრობლემაა, ხოლო მათ გარეშე მხოლოდ რეგიონალური“, პრაქტიკულად განხორციელების მცდელობაა!

ჰოდა, რუსეთმა მარტოდმარტომ მიიღო ეს გამოწვევა და უკან დახევას, მითუმეტეს ყირიმის „ახევის“ შემდეგ, არ აპირებს!

უკან დახევა არა, მაგრამ წინ კი იხედება პუტინი და უკრაინაში აშკარა სამხედრო წარმატების პარალელურად ზურგსაც იმაგრებს, რისი დასტურიც ამას წინათ მოსკოვში ჩატარებული ე.წ. ანტიმაიდნის მრავალათასიანი აქციაა!

ამას დავუმატოთ ვლადიმერ პუტინის ზემაღალი რეიტინგი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არა თუ უპირობო მხარდაჭერა, არამედ ეკლესიისა და ხელისუფლების დე ფაქტო ერთსისხლხორცობა და აქედან გამომდინარე ე.წ. ფერადი რევოლუცია, რომლითაც სურთ ოკეანესგაღმელ „სცენარისტებს“ რუსეთის დაშლა, იდეაშივეა გამორიცხული!

ეს რეალობა აგიჟებთ ვაშინგტონელ თუ ევროპელ ქორებს რუსეთს გარეთ და ქვეყნის შიგნით ე.წ. „ბალოტნი“ ოპოზიციას თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც კანონის ლაგამი ამოსდო ვლადიმერ პუტინმა და მათი ლიდერები უილაჯო წკმუტუნის გარდა, ვერაფერს ბედავენ, რადგან გაბედავენ და თავად ხალხი წალეკავს არასამთავრობო მეხუთე კოლონას რუსეთში!..

ერთი სიტყვით, თუ ისტორიას დავუბრუნდებით, დღეს რუსეთში ხდება ის, რაც, რომ არა სტალინი, მოხდებოდა სსრკ-ში!

სტალინის რკინის მარჯვენამ მინიმუმ 70 წლით შეაჩერა უღმერთო სატანისტების შეტევა ოჯახის ინსტიტუტზე, მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ეროვნულ თვითმყოფადობაზე და ა.შ. ყოველივე ტრადიციულ მაღალ ღირებულებებზე.

დიახ, დიახ არ შემშლია, მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რომლის აღორძინება სტალინის მმართველობის ბოლო წლებში დაიწყო...

ანუ ყველაფერი ის, რაც დღეს შეუნიღბავად მიმდინარეობს პლუს ის, რაც სტალინის დროს ჯერ კიდევ არ იყო — უსქესო საზოგადოების შექმნა და აქედან ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება!

დავაკვირედეთ ამერიკა-რუსეთის დაპირისპირებაში ვინ ვის ებრძვის უკრაინაში?

ჰომოსექსუალი შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი და პრემიერი არსენ იაცენიუკი, „მოფერებითი“ მეტსახელით, ბაჭია;

(აფსუს არსენა ოძელაშვილო, როგორ ამოთხვარეს შენი ვაჟკაცური სახელი?)

რადას ყოფილი სპიკერი ბაპტისტი ტურჩინოვი, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, რომ მისი ოცნება კიევის ხრეშატიკზე გეიპარადის გაძღოლაა!

ცნობილი ლესბოსელი ვიქტორია ნულანდის მიერ ევრომაიდანზე დარიგებული „პონჩიკები“, ბარაკ ჰუსეინ ობამას აღიარება, რომ მისი პრეზიდენტობის მთავარი მიღწევა, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებაა!..

ამას დავუმატოთ, ქართველი ნაცხლისტების უკრაინის უმაღლეს თანამდებობებზე დანიშვნა, კრეტინი საკაშვილის მრჩევლობა და ვისი გამარჯვებაა ქართველი ხალხის ინტერესებში, პედერასტული დასავლეთის, რომელსაც მთელი პლანეტის გაცისფერება სურს თუ საქართველოს ოკუპანტი რუსეთის?

პასუხი ცალსახაა, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის — წართმეულ ტერიტორიებს როცა იქნება დავიბრუნებთ, მაგრამ ამორთმეულ სულს, დაკარგულ ზნეობას, ვერასოდეს!!!

ეგეც არ იყოს და იმის მიუხედავად, ვინ ვის „ბალელშჩიკობს“ ყველაფერი იქით მიდის, რომ ერთ დროს კიევის რუსეთი დღეს რუსეთის კიევით დამთავრდება და ამის გათვალისწინებით მაინც პრაგმატული პოზიცია დავიჭიროთ ქართველებმა...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

წრცილოკანი ოჩაზები

● **მაია ფანჯიკიძეს რომ იწვევენ და საგარეო გამოწვევებზე ალაპარაკებენ, არ ჯობია მოლოტოვის სული გამოიძახონ? უფრო კომპეტენტურია!**

● **შვეიცარიელებს სულ არა აქვთ ლარი, მარა ქე ცხოვრობენ კარგად!**

● **ვინმე იურისტმა გამეცით პასუხი (მერიას, შ.ს.ს.-ს, სახალხო დამცველს, პირადი მონაცემების დაცვის ინსპექტორს და კაპიტან გიგაურს არ მივმართავ. აზრი არა აქვს!):**

1. აქვს თუ არა უფლება ერთ-ერთი შპს-ს, ამ შემთხვევაში „თბილისის ტრანსპორტის“ წარმომადგენელს, მოქალაქის პირად მონაცემებზე (პირადი ნომერი, მისამართი დ.ა.შ.) წვდომის უფლება?

2. რატომ არ აუქმებს დღევანდელი მერი კრიმინალ გიგი უგულავას მიერ 2010 წლის 11 ივნისის ყოვლად არაკონსტიტუციურ ბრძანებას.

● **გამიჩერეთ ლარი, ჩავდივარ!**

● **ძალიან მინდა, აი იმ ხალხს, ყველაფერს რო „წუნობენ“ დიიიდი ყუთით „ლეგოს“ კუბიკები მივცე და 2 წელიწადნახევარში მივაკითხო, ერთი როგორ „სახელმწიფოს“ ააშენებენ.**

● **მთავრობაში წასული ინტელექტკლუბელები ხელფასებს ბროლის ბუებში აიღებენ და დანამატებს, ბუს კვერცხებში?**

● **ღმერთო ნუ მიწყენ, მაგრამ, ირაკლი კობახიძის და „რა, სად, როდის“-ის გადარჩენილი საქართველოსი არ მჯერა.**

● **საწვრთნელი ცენტრი, სადაც ოფიცრები („ისიც კი არ ვიცი, რამდენი...“) წვრთნებს ატარებენ, თურმე „არანაირ სამხედრო ფაქტორს არ მოიცავსო“(?!)**

სკოლის ეზოში ლახტის თამაშიც კი, მოიცავს „სამხედრო ფაქტორს“, ანუ: ვინ ჭამს მაგას?!

● **„ევროატლანტიკური არჩევანი“ რომ მესმის, მზად ვარ იარაღზე ვიტაცო ხელი! თვით არჩევანს ისე არ ვერჩი, როგორც მთლიანად გამოთქმას.**

● **საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს მოვკარი თვალი, ვინც ჩვენს მთავრობასთან და ეროვნულ ბანკთან ერთად ლარი უნდა გადაარჩინოს და მინდა, გითხრათ, რომ არც ერთ მათგანთან, არათუ ცხოვრებაში, ფეისბუქზეც არ ვიმეგობრებდი.**

● **ნოტარიუსების რეკლამა რომ გააკეთო და ამაში ფული დახარჯო, რამხელა მარკეტინგული გათვლაა საჭირო.**

ჯერ მარტო რამდენი კონკურენტი ჰყავს ნოტარიუსს? ისინი ხომ უნდა ჩაძირო? ეს რეკლამა რომ არა, ხომ შეიძლება ბინის გაყიდვა პროფილაქტიკაში გაგვეფორმებინა?

ქამრების მოჭერა არ დაგავიწყდეთ სახლიდან გამოსვლის წინ, თორემ ჩაგძვრებათ შარვლები...

● **ვისაც ქამრები არ უკეთია, აჭიმები დაიმოკლოსო.**

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

◎ ძებნილი

ცრუპენტელა ექსპრეზიდენტის კიდევ ერთი ტყუილი



კითხვათა შორის, საზოგადოებაში ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების სათავეში ყოფნიდან მოყოლებული, კვლავაც ჰაერშია გამოკიდებული, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებს ეხება.

აგერ უკვე 10 წელი გავიდა, მაგრამ მის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის კომენტარები მედიასივრცეში პერმანენტურად ჩნდება ხოლმე. ერთი ასეთი ბოლო დროს საქართველოს ექსპრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის, რომლის მცირე ამონარიდს გაზეთ „არჩევანიდან“ შემოგთავაზებთ: **„ზურა დაიღუპა გაზის მოწამვლით და მაშინ გაზით მოწამვლით 250-300 ადამიანი იღუპებოდა თვეში. ზუსტად ასეთი „კარმა“ ეყენა დედაჩემს სახლში და მაშინვე დავურეკე, სასწრაფოდ გამოცვალე-თქო“.**

ამ ციდა აბზაცში რამდენიმე დეტალმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება, ამდენად მცირედი კომენტარი საქართველოში გაზიფიკაციის ცნობილ სპეციალისტს, იმ ხანებში თბილგაზის საავარიო სამსახურის უფროსს **ნუგზარ მხეიძეს** ვთხოვეთ.

— ბატონო ნუგზარ, რა ტიპის გამათბობელი იყო დამონტაჟებული საბურთალოს ქუჩაზე იმ ბინაში, სადაც 2005 წლის 3 თებერვალს ორი, მათ შორის ზურაბ ჟვანიას ცხედარი იპოვეს? საერთოდ, რა მდგომარეობა იყო მაშინ გაზით მომარაგების მხრივ იმ დროს საბურთალოს რაიონში?

— 2005 წლის 3 თებერვალს საბურთალოს რაიონში ნაშუაღამევს 3 საათზე გაზის მიწოდება გადაკეტეს, იმის გამო, რომ ქსელში წნევამ მოიმატა, რის შესახებ მე, როგორც თბილგაზის საავარიო სამსახურის უფროსს შემატყობინეს. იმ უბანში განთავსებული გაზის რეგულატორიდან მიმდებარე დაახლოებით ათი მრავალსართულიანი კორპუსი მარაგდება და, მართალია, იმ დროს გაზის წნევის მომატება კი იყო, მაგრამ ავარია არც ერთ ბინაში არ მომხდარა, გარდა იმისა, სადაც ის ტრაგიკული ამბავი მოხდა. საქმე ის არის, რომ იმ ხანებში ხალხს ძალიან უჭირდა, ბევრნი გაზის რეგულატორებს ხსნიდნენ და გაზს იპარავდნენ. მას შემდეგ კი, რაც გაზის ქსელის ხელახლა შევსება დავიწყეთ, ყველამ რეგულატორები ისევ ჩაკეტა, ამდენად გაჟონვა სხვაგან არსად არ მომხდარა. იმ პირველ სართულზე განთავსებულ ბინაში კი, როცა მეორე დილით მივედი და დავათვალიერე, ვნახე, რომ შუშაბანდის ქვეშ კედელი იყო გამოთხრილი, რომელშიც წვრილი მილი იყო გამოტარებული, თანაც ის მილი ბოლომდე კი არ იყო გამოსული, როგორც ახლა „კარმის“ გაზის ღუმელებს უკეთდებათ, რომლებსაც თან ხუფიც და ორი მილიც აქვთ — ერთი ოთახიდან ჰაერის გასაწოვად, მეორე გარედან ჰაერის შესაშვებად — არამედ, უბრალოდ, გარეთ იყო გამოშვერილი. ეს იყო ირანული წარმოების გაზის ქვაბი, რომლის შესახებ როგორც შემდგომ მოწვეულმა ირანელმა სპეციალისტებმა განგვიმარტეს, ერთ-ორსართულიანი კერძო სახლებისთვისაა განკუთნილი, სადაც ეს დანადგარი ან სარდაფში, ან პირველ სართულზე იდგმება, გამომავალმა მილმა მეორე სართული უნდა გაიაროს, სახურავის თავზე ავიდეს და შემდეგ თავსახურიც უნდა ჰქონდეს მორგებული. ამდენად, იმ დროს გაზის ქსელში წნევაც რომ არ მომატებულიყო და ის ღუმელი კი ენთო, მას გაწევა არ ექნებოდა და შეიწოვდა ოთახის ჰაერს, იქაურობას ჟანგბადი დააკლდებოდა და უბედურება მაინც დატრიალდებოდა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი მართლა იქ მოხდა, პირადად მე ეს ამბავი არ ვიცი.

მოგვიანებით საქართველოში ამერიკელი სპეციალისტები იყვნენ ჩამოსულები, რომლებმაც ოთახში იატაკიდან ყოველ ნახევარ მეტრში ჰაერის ანალიზატორები დააყენეს, რომლებიც ნახშირჟანგის შემცველობას ზომავენ. ოთახის ჰაერში ამ მხუთავი გაზის შემცველობამ ჯანმრთელობისთვის სახიფათო ზღვარს ღუმელის ჩართვიდან სულ რაღაც ათ წუთში მიაღწია იმ სიმაღლეს, სადაც სკამდე მჯდომი ადამიანის თავი იმყოფება. და, ამდენად, ამის საფუძველზე იმის თქმა შეიძლება, რომ თუკი ტრაგედია მართლაც იმ ბინაში დატრიალდა, ეს სავსებით შესაძლებელი იყო, რადგან კარგი წვაც რომ ყოფილიყო და კარგი გაწოვაც, ოთახში ჟანგბადს შემოსასვლელი მაინც არ ჰქონდა.

ისე კი, იმის გათვალისწინებით, რომ ბინა პირველ სართულზე იყო, თუკი ვინმეს ბოროტი ზრახვა ჰქონდა, იმ გაზის ნამწვავის გამომყვან წვრილ მილში უბრალო ქაღალდიც რომ შეეჩურთა, ტრაგედიის დასატრიალებლად ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა.

— ამდენად, იმ ბინაში გაზის ღუმელი „კარმა“ არ ყოფილა, ეს გასაგებია. რაც შეეხება კიდევ ერთ გამონათქვამს, რომ იმ ხანებში თბილისში საყოფაცხოვრებო გზით გათბობის პროცესში თუ მის შედეგად თვეში 250-300 კაცი იღუპებოდა, ეს მართლა ასე იყო? პირადად მე ასეთი რამ არ მაგონდება, თორემ ეს ხომ კატასტროფა იქებოდა!..

— არა ბატონო, ეს ასე ნამდვილად არ ყოფილა. უბედური შემთხვევები, სამწუხაროდ, ხდებოდა ხოლმე, მაგრამ რომელიმე თვეში ამდენი ხალხი დახოცილიყოს ამ მიზეზით, ასეთი რამ არ ყოფილა. კი არა, ამ მიზეზით ამდენი ადამიანი, ვგონებ, საერთოდ არ დაღუპულა!

ოთარ ტურაბელიძე.

P. S. მაგიერ. ასეთი გახლავთ ამ ათი წლისწინანდელი მომხდარ ტრაგედიაზე ჩვენში გაზიფიცირების ერთ-ერთი მესაძირკვლის ნუგზარ მხეიძის კომენტარი. ამდენად, რა არის სიმართლე და რა — არა ექსპრეზიდენტის ნათქვამში, ამას, ვფიქრობთ, თავადაც გაარჩევთ, ბატონებო.

ო. ტ.

◎ ალიან-ჩალიანი

ჩიორა თაქთაქიშვილი და ეკა ხერხეულიძე სააკაშვილს ფანჯრიდან გადახტომით ემუქრებოდნენ

ეკა ხერხეულიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი სააკაშვილისგან 26 მაისის აქციის დარბევას კატეგორიულად მოითხოვდნენ, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კარლო კოპალიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, მას აქვს ინფორმაცია, რომ თაქთაქიშვილი და ხერხეულიძე მიხეილ სააკაშვილს მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში „ფანჯრიდან გადახტომით და თავის მოკვლით“ ემუქრებოდნენ.

პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატმა, ნაციონალური მოძრაობის კიდევ ერთ წევრზე დავით საყვარელიძეზე ისაუბრა და მას მოღალატე უწოდა.

„ქალბატონი ეკა ხერხეულიძე პარლამენტში დავით საყვარელიძის ნაცვლად შემოდის. ეს ის ადამიანია, რომელმაც საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის არჩევანი სხვა ქვეყნის პროკურორის მანდატში გაცვალა და ამ საქციელს მოღალატეობა ეწოდება“, — განაცხადა კარლო კოპალიანმა.

მინდია ჯანელიძის მტკიცებით, რუსული სატრანზიტო ნომრებიანი ავტომანქანები საქართველოში მეორადი მოხმარების მიზნით შემოიყვანეს

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ამტკიცებს, რომ რუსული სატრანზიტო ნომრებიანი ავტომანქანები, რომლებიც თბილისში გუშინ შენიშნეს, საქართველოში მეორადი მოხმარების მიზნით შემოიყვანეს. როგორც ჯანელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ავტომანქანები უნდა დაშლილიყო და მისი ნაწილების გამოყენება მეორადი მიზნით მომხდარიყო. შესაბამისად, თავდაცვის მინისტრი აბსურდს უწოდებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ავტომანქანები სამხედრო დანიშნულებისაა.

„ეს არის სრული აბსურდი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ნებისმიერი სამხედრო ტვირთის, ნებისმიერი ორმაგი დანიშნულების ტვირთის გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე ხდება თავდაცვის სამინისტროს თანხმობით და ზედამხედველობით, ამიტომ მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

მე მოვისმინე უამრავი აპოკალიპტური სცენარი, თუმცა, სინამდვილეში ეს იყო მანქანები სპეციალური ნომრებით, რომლებსაც ქვეყნის გარეთ გასვლა არ შეეძლო და საქართველოში მეორადი მოხმარების მიზნით შემოიყვანეს. კერძოდ, ძალიან მარტივი მიზეზით და მოტივით — უნდა დაშლილიყო და მისი ნაწილების გამოყენება მეორადი სახით მომხდარიყო. მანქანები მართალია ხაკისფერია, მაგრამ მათ არ ჰქონიათ არც სამხედრო ნომრები და არც ამ კუთხით, სხვა რაიმე აღმნიშვნელი ნიშანი“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

გუშინ, სოციალურ მედიაში გავრცელდა ფოტოსურათები, სადაც დაფიქსირებული იყო სატვირთო ავტომანქანები რუსული სატრანზიტო ნომრებით.

გიორგი კვირიკაშვილის, პაატა ზაქარეიშვილის და გელა დუმბაძის უწყებები ახალ შენობაში გადავლენ

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოქმედი შენობაც მოხვდა.

როგორც ვიცე -პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ბიზნეს ასოციაციის„ მიერ ორგანიზებული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, გასაყიდად გამოტანილი ობიექტებს ნუსხა დიდია.

„ეს არის ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა, ეკონომიკის სამინისტროს მოქმედი შენობა, სადაც არის საშუალება, რომ აშენდეს სასტუმრო. ეს არის ბობოყვათის რეზიდენცია, წყნეთის სამთავრობო აგარაკების ტერიტორია, თბოელექტროსადგური, ლატარიის კომპანია, რომლის ლიცენზიაზე გამოტანაც უახლოეს დღეებში იგეგმება და ა. შ“, —განაცხადა გიორიგ კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, უკვე გამოითქვა სურვილი რამდენიმე ობიექტთან დაკავშირებით. კვირიკაშვილი ფიქრობს, რომ მარტო ამ ობიექტებით ორი-სამი თვის პერიოდში დაახლოებით 300-350 მილიონი დოლარის მობილიზება მოხდება.

ეროვნული ბანკის ყოფილ შენობაშია განთავსებული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გელა დუმბაძის უწყებები. შენობების გასხვისების შემდეგ, მათაც, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად ახალ შენობაში მოუწევთ გადასვლა.

რამდენიმე ხნის წინ ითქვა, რომ შესაძლებელია ათონელის სამთავრობო რეზიდენციაში, რომელიც ამ დრომდე უფუნქციოდაა დარჩენილი, რამდენიმე სამინისტრო გადავიდეს, თუმცა, ამის შესახებ ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

„საქსტატმა“ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების დამუშავება დაიწყო

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის სავეელ სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების დამუშავება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან აცნობეს, ინფორმაცია „საქსტატის“ წყნეთის ოფისში ელექტრონულად მუშავდება.

მათივე ინფორმაციით, მონაცემთა შეყვანისა და დამუშავების პროცესში 300 ადამიანზე მეტი დასაქმდა.

როგორც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში აცხადებენ, მონაცემთა საბოლოო დამუშავების შედეგად ცნობილი გახდება მოსახლეობის რიცხოვნობა, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ეთნიკური შემადგენლობა, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობა, საარსებო წყაროები, საცხოვრებელი პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ ინფორმაცია.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბერის ჩათვლით პერიოდში ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო აღწერაც განხორციელდა.

აღწერის წინასწარი მონაცემები 2015 წლის აპრილში, ხოლო საბოლოო - 2016 აპრილში გამოქვეყნდება.

ინტერპრესი

◎ მიწა და კანონმდებლობა

გაუტეხავი ყამირი აბა რა სარგებლის მომტანია...

ნებისმიერ გეოგრაფიულ ზონასა და კლიმატურ პირობებში მცხოვრები ერისთვის მიწა ერთ-ერთი უპირველესი ფასეულობაგანია – უდაბნო იქნება ეს, ტროპიკული ტყე, სელვა თუ დათოვლილი ტრამალები. მისი ფასეულობა ხალხის ცხოვრებაში მით უფრო განსაკუთრებული ხდება, როცა საქმე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ეხება, თანაც ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო.

წინა ხელისუფლების მმართველობის დროს პრაქტიკაში დამკვიდრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიყიდვა, ანდა გრძელვადიანი იჯარით გადაცემა. მეტიც: ძალიან ხშირად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ამ კატეგორიიდან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიაში გადაჰყავდათ, ამით მათ ოფიციალურ ღირებულებას ხელოვნურად ამცირებდნენ, რითაც სახელმწიფო ხაზინასაც აზარალებდნენ და ერსაც.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013 წელს, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებათა საფუძველზე, ამ კატეგორიის მიწების უცხოელ კერძო და იურიდიული პირების მიერ შესყიდვაზე მორატორიუმი გამოცხადდა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლება მხოლოდ კომერციულ ბანკებს მიეცათ, სხვებს კი, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხოლოდ მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. ცოტა ხანში მორატორიუმით დადგენილი ვადა იწურება, პარლამენტი კი წლევანდელ საგაზაფხულო სესიაზე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების შესახებ“ კანონში ცვლილებებს შეიტანს, რომლებიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ ერთობლივადაა შემუშავებული და განსახილველად უკვე წარდგენილია.

კანონის ახალ რედაქციაში განსაზღვრული იქნება, თუ რა მინიმალური და მაქსიმალური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართს შეიძლება ფლობდეს ქვეყანაში უცხოელი ფიზიკური თუ იურიდიული პირი – ეს, სავარაუდოდ, 5 ჰექტარზე ნაკლები ნაკვეთი არ უნდა იყოს. მიწის მყიდველის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თუ ნაკვეთების მთლიანი ფართი 20 ჰექტარზე მეტი არ უნდა იყოს. ამასთან, თუკი მიწას უცხოელი პირის მიერ საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირი შეიძენს, მისი ფართობი არანაკლებ 20 ჰექტარისა უნდა იყოს, ხოლო მთლიანად კი, ნაკვეთისა თუ რამდენიმე ნაკვეთის ფართობი 200 ჰექტარს არ უნდა აღემატებოდეს. უცხოელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე მიწების გასხვისებაში კიდევ ერთი შეზღუდვა ის იქნება, რომ მათ მიერ შესაძენი ნაკვეთები სახელმწიფო საზღვრიდან ხუთკილომეტრიან ზონას მოცილებული უნდა იყოს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს შეზღუდვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე, უცხოურ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე არ გავრცელდება. გადახალისებული კანონის დებულებათა შესაბამისად, **საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენის უფლება ექნება სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საქართველოს მოქალაქეებს, კომლებს, ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ასევე უცხოელ მოქალაქეებსაც, ოღონდ გარკვეული პირობით.** ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი

წები ამ კატეგორიიდან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიაში გადაჰყავდათ, ამით მათ ოფიციალურ ღირებულებას ხელოვნურად ამცირებდნენ, რითაც სახელმწიფო ხაზინასაც აზარალებდნენ და ერსაც.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013 წელს, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებათა საფუძველზე, ამ კატეგორიის მიწების უცხოელ კერძო და იურიდიულ პირების მიერ შესყიდვაზე მორატორიუმი გამოცხადდა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლება მხოლოდ კომერციულ ბანკებს მიეცათ, სხვებს კი, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხოლოდ მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. ცოტა ხანში მორატორიუმით დადგენილი ვადა იწურება, პარლამენტი კი წლევანდელ საგაზაფხულო სესიაზე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების შესახებ“ კანონში ცვლილებებს შეიტანს, რომლებიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ ერთობლივადაა შემუშავებული და განსახილველად უკვე წარდგენილია.

კანონის ახალ რედაქციაში განსაზღვრული იქნება, თუ რა მინიმალური და მაქსიმალური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართს შეიძლება ფლობდეს ქვეყანაში უცხოელი ფიზიკური თუ იურიდიული პირი – ეს, სავარაუდოდ, 5 ჰექტარზე ნაკლები ნაკვეთი არ უნდა იყოს. მიწის მყიდველის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თუ ნაკვეთების მთლიანი ფართი 20 ჰექტარზე მეტი არ უნდა იყოს. ამასთან, თუკი მიწას უცხოელი პირის მიერ საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირი შეიძენს, მისი ფართობი არანაკლებ 20 ჰექტარისა უნდა იყოს, ხოლო მთლიანად კი, ნაკვეთისა თუ რამდენიმე ნაკვეთის ფართობი 200 ჰექტარს არ უნდა აღემატებოდეს. უცხოელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე მიწების გასხვისებაში კიდევ ერთი შეზღუდვა ის იქნება, რომ მათ მიერ შესაძენი ნაკვეთები სახელმწიფო საზღვრიდან ხუთკილომეტრიან ზონას მოცილებული უნდა იყოს.

მიწა მემკიდრეობით აქვთ მიღებული; აგრეთვე როდესაც მიწას მათზე საქართველოს მოქალაქესთან ქორწინების შედეგად მიიღებენ და სხვა, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა აქვთ. რაც შეეხება უცხოელებისთვის წაყენებული გარკვეული პირობების დარღვევებს მიწაზე საკუთრების მოპოვების შემდეგ, ისინი ვალდებულნი ხდებიან, რომ საკუთრებაში არსებული მიწა გაასხვისონ ექვსი თვის ვადაში. აქვე იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ისევე, როორც ყველა სხვა კანონს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევასა და ვითარებაში მესაკუთრეს გარკვეული სამოქმედო პროცედურები ექნება შესასრულებელი.

ბუნებრივია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების ფლობასთან და მათ დამუშავებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვთ ადგილობრივ ინდივიდუალურ მეწარმეებსა და კოოპერატივებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტომ, თებერვლიდან, ისევე, როგორც წინა ორი წლის მანძილზე, „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ განხორციელება დაიწყო. პროექტის ბიუჯეტი 50 მილიონი ლარია, მასში მონაწილეობას კი წლეულს 800 ათასი ფერმერი მიიღებს. ხვნის ბარათების დარიგების პირველი ეტაპი ამჟამად უკვე დასრულებულია, პროექტის მოქმედების არეალი კი გაფართოვდა და ახლა უკვე ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის შემოერთებულ სოფლებს მოიცავს. პროექტში ცვლილება ისაა, რომ წელს ფერმერები დახმარებას ახალი წესით მიიღებენ. კერძოდ, **ბენეფიციარები, რომლებსაც 0,25 ჰექტარამდე სახნავი მიწა აქვთ, მხოლოდ 50-ლარიან აგრობარათს მიიღებენ; 0,25-დან 1,25 ჰექტარის მფლობელებიც მარტო ხვნის ბარათს მიიღებენ ერთ ჰექტარზე 140 ლარის დაანგარიშებით; ხოლო ის ბენეფიციარები, ვინც 0,25-დან 1,25 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთებს მრავალწლიანი კულტურების საწარმოებლად იყენებენ, ერთ ჰექტარზე 140 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო საქონელს მიიღებენ.**

სავსებით ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა დაინტერესებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები დამუშავებული იყოს, შესაბამისად, მეტი დოვლათი იქმნებოდეს, რისთვისაც გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს. ერთ-ერთი ასეთია დაუმუშავებელი მიწების დაბეგვრა, რის თაობაზე მასმედიაში ბოლო დროს აზრთა აქტიური გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობს. საქმე ის არის, რომ **საქართველოში მთლიანად დაახლოებით 750 ათასი ჰექტარი ფართობის სახნავი მიწებია, რომელთაგან 350 ათასი ჰექტარი დაუმუშავებელია, ანუ ბრუნვაში არ არის, რაც ძალიან ბევრია.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ ეს გარემოება **„არანაირად არ ვრცელდება მცირემიწიან ფერმერებსა და მცირემიწიან ფართობებზე. დაუმუშავებელი მიწების დაბეგვრა მათ არ შეეხებათ“.** ამ შემთხვევაში საქმე ეხება ამ დიდ ფართობებს, რომლებსაც მეპატრონეები არანაირ ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა კი კონკრეტულად რა ფორმასა და რა ოდენობას მიიღებს ფინანსური ზემოქმედება, რა კონცეფციის საფუძველზე გადაწყდება საკითხი, ეს გარკვეული კონსულტაციების გამართვის შემდეგ გახდება ცნობილი. ყველა შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო მიწის დამმუშავებელი მესაკუთრე რაღაც ფორმით წახალისდება (ვთქვათ, ზემოაღნიშნული „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო-საშემოდგომო ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში), **„ხოლო იმათ კი, ვინც მიწას „აცდენს“ გადასახადები გაეზრდებათ“.** რაც შეეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებს, ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი რაციონალური დაგეგმვა, წინასწარი მოკვლევის ჩატარება და, ინტერესთა გამოხატვის გზით, ამ მიწების საკუთრებაში, ან დროებით სარგებლობაში გადაცემა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემაა მათი გამსხვილების საკითხი. ამის გზა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის პროცესის დაჩქარებაა – სადღეისოდ დარეგისტრირებულია მხოლოდ 400 ასეთი გაერთიანება, რაც ქვეყნის მასშტაბით ძალიან ცოტაა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ მათ შესაქმნელად გარკვეული სტიმულებია საჭირო, ასევე მეტად მნიშვნელოვანია მათი მართვის მეთოდების სწავლება, თანაც ეს დიდად საშური საქმეა.

ოთარ აბრამია

◎ ალიან-ჩალიანი

გიორგი ხელაია თანამდებობაზე დარჩა

გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება არ მიმიღია, – ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ, გიორგი ხელაიამ განაცხადა.

გიორგი ხელაიამ თბილისის მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მის თანამდებობიდან წასვლას შეეხებოდა.

„ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს მე დავტოვე თანამდებობა. ეს არის აბსოლუტური დეზინფორმაცია. ვიცი, რომ ძალიან ბევრ ადამიანს გავუწბილე იმედები. მე ვრჩები თანამდებობაზე. არანაირი გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება არ მიმიღია და ვასრულებ ჩემზე დაკისრებულ ფუნქციებს“, – აღნიშნა გიორგი ხელაიამ.

ინტერპრესი

◎ ადმართ-ადმართ

მთის კაცი

გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ჟურნალისტი, მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესაწავლის კომისიის სწავლული მდივანი ბერდო გოიშვილი 85 წლისაა.

ბერდო გოიშვილი დაიბადა თბილისში, 1947 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 სკოლა, 1953 წელს – სტალინური სტიპენდიით – პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, 1956 წელს – პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა მინერალოგია-პეტროგრაფიის სპეციალობით. ამ საფეხურების გავლით მან მიიღო შესანიშნავი სპეციალური და ზოგადი საბუნებისმეტყველო განათლება, ჩამოიყალიბა ფართო მსოფლმხედველობრივი პოზიცია.

1957 წელს ბერდო გოიშვილმა მუშაობა დაიწყო კავკასიის მინერალურ ნედლეულთა ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად. მისი გეოლოგიური მოღვაწეობა მოიცავდა კავკასიის უძველეს კრისტალურ ფიქლებსა და გრანიტულ მასივებს, რასაც უძღვნა როგორც თავისი საკვალიფიკაციო შრომა, ისე მრავალი სამეცნიერო წერილი. ნიჭიერმა და დაკვირვებულმა მკვლევარმა აღმოაჩინა პლაგიოგრანიტები აფხაზეთში, გვაშხარარის მარმარილოს საბადო სვანეთში, გამოავლინა პერსპექტივა ოქროს შემცველობაზე და დაქანებით გამადნების ზრდაზე ცანის არსენოპირიტის საბადოსა და კარობის ვოლფრამის საბადოზე და მრავალი სხვა.

დიდია ბერდო გოიშვილის დამსახურება მთიანი რეგიონების პრობლემათა კვლევაში: მისი უშუალო მონაწილეობით შესწავლილ იქნა ზუგდიდი- მესტიის ზვავსაშიში და მეწყერსაშიში უბნები, განხორციელდა მესტიაში ტელეანტენის დადგმა. მესტიის სკოლებს მიეწოდა მხატვრული და სასწავლო ლიტერატურა, ლაბორატორიული მოწყობილობები; 90-იან წლებში ხევსურეთში დაინიშნა უფასო ავტობუსის მარშრუტი თბილისი-ბარისახო, გარემონტდა სკოლა-ინტერნატი და საავადმყოფო; რაჭაში გეოქიმიურად იქნა შესწავლილი რიონის ზედა წელი და მრავალი სხვა.

ძნელია ყველა იმ პრობლემის ჩამოთვლა, რაც ბერდო გოიშვილის სახელთანაა დაკავშირებული: მის კალამს ეკუთვნის 170-მდე სამეცნიერო სტატია, 4 მონოგრაფია, რომელთაგან ერთი სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი, 2 ლექსთა კრებული და მრავალი წერილი, დაკავშირებული მთის პრობლემებთან. იგი არჩეულ იქნა კავკასიის, ყირიმისა და კარპატების პეტროგრაფიული საბჭოს თავმჯდომარედ და საბჭოთა კავშირის აკადემიის პეტროგრაფიული კომიტეტის წევრად. დაჯილდოებულია მრავალი სიგელითა და საპატიო ნიშნის ორდენით.

ბერდო გოიშვილის მოღვაწეობა ყოველთვის აქტიურად იყო დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებთან, იგი დღესაც ჩვეული ენერგიითა და მთისადმი განუზომელი სიყვარულით აგრძელებს მუშაობას საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომისიაში.

ვუსურვოთ მას დიდხანს სიცოცხლე და ხანგძლივი მოღვაწეობა ერის სასიკეთოდ!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია.

„პრემჯი გოლდი“ ხალხს ნამლავს, ხელისუფლება დუმს

იმაზე, თუ რა ხდებოდა ჯორჯიის უნივერსიტეტში, მაშინ, როცა საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს დასაცავად კარვების აქცია მიმდინარეობდა; რომელი მძიმე მეტალებითაა დაბინძურებული ბოლნისისა და დმანისის რაიონები; როგორ ხვდებიან ისინი ნიადაგში; რისი ჭამა შეიძლება და რას უნდა მოვერიდოთ; რა იწვევს ძვლების სიმყიფეს; რატომაა საშიში ჭარხლის მიღება და სიმინდის თმის ნახარშის დალევა, შევხვდი და ვესაუბრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის განყოფილების უფროსს ალეკო ღონღაძეს და რადიოლოგიური კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელს პაატა იმნაძეს.

საყდრისის დასაცავად მიმდინარე კარვების აქციის პარალელურად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ჯორჯიის უნივერსიტეტიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და კულტურის მინისტრმა მიიღეს წერილები, რომელშიც საყდრისის უნიკალურობასა და მისი შენარჩუნების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ. ამასთან, ჯორჯიის უნივერსიტეტისთვის ცნობილი გახდა იმ კვლევის შედეგი, რომელიც ბოლნისისა და დმანისის რაიონების გარკვეულ სოფლებში ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჩაატარეს. შედეგი ამერიკელი მეცნიერებისთვის ძნელად დასაჯერებელი აღმოჩნდა. მათ ნიადაგის ნიმუშების გაგზავნა მოითხოვეს. რადგან ამერიკული კანონმდებლობა ნიადაგის შეტანას კრძალავს, ამიტომ, ჯორჯიის უნივერსიტეტმა ბოლნისსა და დმანისში აღებული ნიადაგის ამერიკაში მოხვედრაზე თავად იზრუნა. ის, რაც ქართველმა მეცნიერებმა თბილისში გამოიკვლიეს, ჯორჯიის უნივერსიტეტმა დაადასტურა. რადგან იქ არსებული ხელსაწყოები თანამედროვე და ეფექტურია, ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულ კვლევებში ქართველი მეცნიერებისთვის აქამდე უცნობი ფაქტებიც გამოვლინდა.

ჯორჯიის უნივერსიტეტში არის ხელსაწყო (მაღალი მგრძნობელობის მას-სპექტრომეტრი), რომელსაც ბუნებაში გავრცელებული ელემენტებიდან 84 მეტალის ერთდროულად გაზომვა დიდი სიზუსტით შეუძლია. „აქედან გაგზავნილი ნიადაგის ნიმუშების გაზომვას ორი კვირა დასჭირდა. შედეგით გაოგნებულები დარჩნენ“, - გვითხრა ალეკო ღონღაძემ.

პაატა იმნაძის განმარტებით, ფიზიკის ინსტიტუტი კაზრეთთან 1982 წლიდან იყო დაკავშირებული. იქ ფუნქციონირებდა ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზის ლაბორატორია, ქვეკრიტიკული გამამრავლებლის ბაზაზე. 1993 წელს ლაბორატორია თბილისში გადმოიტანეს, რაც ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა თქმით, კაზრეთში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ახლა მადანს ღია კარიერული წესით მოიპოვებენ, არის პოლიმეტალების საბადო, სადაც მენდელეევის მთელი პერიოდული სისტემაა წარმოდგენილი.

„ცნობილია, რომ ჩვენი ყველაზე ძველი საცხოვრისები სწორედ დმანისის რაიონშია აღმოჩენილი. ეს ჩვენი უძველესი ცივილიზაციის ადგილია. ქართველთა წინაპარი უძველესი დროიდან ადნობდა ფოლადს და ფლობდა მაღალი ხარისხის ფოლადის დნობის საიდუმლოს. დიდი ალბათობით, ეს განპირობებული იყო სწორედ იმ უნიკალური პოლიმეტალური საბადოს არსებობით, რომელიც დღევანდელი კაზრეთის ტერიტორიაზეა წარმოდგენილი“, — ამბობს პაატა იმნაძე.

ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა განმარტებით, ბოლნისის რაიონში, მადნის ღია კარიეული წესით მოპოვებისა და გადამუშავების შედეგად, ამა თუ იმ ნივთიერების, მათ შორის მძიმე ლითონების კონცენტრაცია ლოკალურ ადგილებში მკვეთრად იზრდება. ეს იწვევს მძიმე ლითონების კონცენტრაციის ზრდას როგორც მცენარეულ საფარში, ასევე ცხოველური წარმოშობის საკვებ პროდუქტებში და, შესაბამისად, ადამიანის ორგანიზმში, რამაც მათ ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს.

ალეკო ღონღაძე: „კადმიუმის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდკ) ზედა კრიტიკული ზღვარი, მცენარეებსა და საკვებ პროდუქტებში, არის 0,1 მილიგრამი კილოგრამში. მადნის მოპოვების მიზნით ქანების აფეთქებისას, ათი ტონა ქანის აფეთქებას თან ახლავს 60 კილოგრამი კადმიუმის გადმოფრქვევა, რომელიც ძირითადად ნიადაგში რჩება და იქიდან მცენარეები ითვისებენ. მაგალითად ავიღოთ მწვანე ამარანტა, იგივე ფხალი, რომელსაც ადგილობრივები საკვებად იყენებენ. სოფელ ბალიჭში მოკრეფილ ამარანტაში კადმიუმის შემცველობა ზდკ-ზე 30-32-ჯერ მეტია. მწვანე ამარანტას საკვებად გამოყენება დაუშვებელია“.

მეცნიერის განმარტებით, საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში მოყვანილი სიმინდი ჯანმრთელობისთვის უვნებელია, მაგრამ დაუშვებელია სიმინდის თმის გამოყენება, რომელსაც ხარშავენ და სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ სვამენ, მათ შორის, სისხლძარღვების გასაგანიერებლად, ღვიძლისთვის და სხვ. კადმიუმის შემცველობა სიმინდის თმაში ზდკ-ზე 80-ჯერ მეტია. კადმიუმი იწვევს თირკმლების, ფილტვების დაავადებას და ძვლების სიმყიფეს.

ალეკო ღონღაძე: „საქართველოში მოქმედი სტანდარტის მიხედვით კადმიუმის შემცველობა კილოგრამ ნიადაგში არის 0,3-0,5მგ/კგ. 2014 წელს ბალიჭში კადმიუმი იყო 0,24-ზე ნაკლები, მაგრამ ყველში კადმიუმის რაოდენობა ზდკ-სთან შედარებით 3-ჯერ მეტი გახლდათ. რძიდან ყველში კადმიუმის 15% გადადის. წარმოიდგინეთ, რამდენი იყო ძროხის რძეში, რასაც ბავშვებს აჭმევენ! ჩვენ რძის სპეციალისტები არა ვართ. ჩვენ გავზომეთ და დანარჩენს ცალკე კვლევა სჭირდება. ჯორჯიის უნივერსიტეტში დაადგინეს, რომ ბალიჭის ნიადაგში დარიშხანიც არის. ეს აქამდე არ ვიცოდით. სოფელ ქვეშში უფრო მეტია. აქამდე ასევე არ ვიცოდით, რომ ნიადაგში მოჭარბებულად არის სტრონციუმი“.

ალეკო ღონღაძის თქმით, იქაური ჭარხლის ჭამა და შაქრის ჭარხლის გამოყენება დაუშვებელია, რადგან მათში თავს იყრის კადმიუმის უდიდესი რაოდენობა, მაშინ, როცა, პომიდორში, ხახვში, ნიორში კადმიუმის შემცველობა არ აღემატება ზდკ-ს.

ალეკო ღონღაძე: „სოფელ დიდ დმანისში ერთ კგ. ნიადაგში 104-105 მილიგრამი ბარიუმია. საყდრისში - 516 მგ. ეს ჯორჯიის უნივერსიტეტის მონაცემებია. ამდენი ბარიუმი ნიადაგში აფეთქების შედეგად ხვდება. მაგალითად, კუპრუმი, იგივე სპილენძი საყდრისში არის 85-89 მგ. კილოგრამში. შეადარეთ — ბარიუმი ხუთჯერ მეტია“.

პაატა იმნაძე: „ბარიუმის შენაერთებს მრავალგვარი გამოყენება აქვს. მაგალითად, რენტგენის ყველა კაბინეტი ბარიტითაა გალესილი, რადგან ბარიუმი რენტგენის სხივებს კარგად შთანთქავს. ბარიუმი გამოიყენება აგრეთვე ბირთვული რეაქტორების ბიოლოგიური დაცვისთვის. ძალიან დიდი მოთხოვნაა ცეზიუმზე. მას ფართოდ გამოიყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებში, რის გამოც მისი ფასი მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. სუფთა ცეზიუმი უკვე ოქროზე ძვირად ფასობს. ჩვენი საბადო საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს ელემენტ ცეზიუმს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სიმდიდრეს სრულებით არ ვიყენებთ“.

ალეკო ღონღაძე: „ცეზიუმი საყდრისში, ერთ კგ. ნიადაგში არის 1,44-1,45მგ/კგ. ქვეშსა და კირისციხეში ორს აღემატება. ნახიდურში 2,39-ია. წუღრულაშენში 1,8 მილიგრამი კილოგრამ ნიადაგში, მაშინ, როცა ოქრო არის ოთხი მეასედი მილიგრამი კილოგრამზე“.

აბულმუგის ისტორიულ ხეობაში ნისლის დიდი ფენა ადევს ხოლმე იმ ადგილს, სადაც გამოსატუტი მოედნების გვერდით მადანს დღე და ღამე ფქვავენ. კითხვაზე — რით არის მავნებელი ეს პროცესი? პაატა იმნაძის პასუხი ასეთია — **„მძიმე ლითონები გარემოში იფრქვევა, ნიადაგში ჩადის და შემდეგ მცენარისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების საშუალებით ადამიანის ორგანიზმში ხვდება. ყველაზე საშიშია, როცა ორგანიზმში მძიმე მეტალები სასუნთქი გზებით ხვდება, ვინაიდან ფილტვებიდან ისინი თითქმის აღარ გამოიდევნებიან“.**

საყდრისში მიმდინარე კარვების აქციის დროს ვხედავდით, რომ დაცვის პოლიციის თანამშრომლები იძახებდნენ სასწრაფოს, მათ გული ერეოდათ, ჰქონდათ მაღალი ტემპერატურა. ალეკო ღონღაძე ვარაუდობს, რომ ამგვარი სიმპტომები კადმიუმითა და დარიშხანით გამოწვეული ინტოქსიკაციის შედეგი შეიძლება ყოფილიყო.

კაზრეთსა და ბალიჭში ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანებს კბილები ჩამოშლილი აქვთ. პაატა იმნაძე ამბობს, რომ გარემოში სტრონციუმისა და კადმიუმის მაღალი კონცენტრაცია საშიშია, რადგან ადამიანის ძვლოვან ქსოვილში ეს ელემენტები ქიმიურად ანაცვლებენ კალციუმს და იწვევენ მისი კონცენტრაციის შემცირებას. ძვლებში კალციუმის შემცველობის კლება, შესაბამისად, ამცირებს ძვლების სიმტკიცეს და მნიშვნელოვნად აზიანებს მათ, მაგალითად, კბილებს.

პაატა იმნაძე: „საქართველოში სიმსივნური დაავადებები ძალიან გაახალგაზრდავდა, რასაც შესაძლებელია მნიშვნელოვანწილად, სწორედ მძიმე ლითონებით გარემოს დაბინძურება განაპირობებდეს.“

ჯორჯიის უნივერსიტეტიდან კვლევის შედეგი რომ მიიღეს, ფიზიკის ინსტიტუტმა 2014 წლის 12 დეკემბერს წერილით მიმართა ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსა და გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გია ცაგარეიშვილს. ქართველმა მეცნიერებმა მათ კვლევის საგანგაშო შედეგების შესახებ აცნობეს და მოსახლეობის ინფორმირება მოითხოვეს.

ჯანდაცვის მინისტრმა ფიზიკოსების წერილი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გადაამისამართა. ამ ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ირმა ხონელიძემ 2014 წლის 31 დეკემბერს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორ გელა გელაშვილს ასეთი რამ მისწერა:

„...ჩვენ სავსებით ვიზიარებთ თქვენს ყველა მოსაზრებას, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ წერილში დასმული საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ, მოსახლეობის ინფორმირება, თუ რომელი საკვები პროდუქტია უსაფრთხო ჯანმრთელობისთვის, ეროვნული ცენტრის კომპეტენციაში არ შედის. ეროვნული ცენტრი გამოთქვამს მზადყოფნას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაერთოს ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებაში“.

გია ცაგარეიშვილმა ფიზიკოსების წერილი სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პრობლემაში გარკვევა სურსათის ეროვნულ სააგენტოს დაავალა. 2015 წლის 5 იანვრით დათარიღებულ წერილში სააგენტოს უფროსი ზაზა დოლიძე წერს — **„2014 წლის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის ფარგლებში ბოლნისის რაიონში აღებულ იქნა სასმელი წყლის 16 სინჯი (მ.შ. 4 დაბა კაზრეთში და 1 სოფელ რატევანში), ასევე ადგილობრივი წარმოების ნედლი რძის 5 ნიმუში და გამოკვლეული იქნა შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიებში. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ აღებულ სინჯებში/ნიმუშებში მძიმე მეტალების (მ.შ. კადმიუმის, სპილენძისა და თუთიის) შემცველობა არ აღემატება საქართველოში დღეისათვის მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დონეებს“.** წერილის ბოლოს აღნიშნულია, რომ 2015 წლის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ მძიმე მეტალების კვლევას სურსათის სხვა სახეობებშიც.

ალეკო ღონღაძის თქმით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმებული რძე აღებული იყო სოფელ რატევანში არსებული ფერმიდან, სადაც თივა მაღალი მთიდან ჩამოაქვთ და საქონელსაც იქ აძოვებენ. **„ეს რძე უსაფრთხოა. საინტერესოა, ბალიჭიდან რატომ არ აიღეს?!“** — კითხულობს მეცნიერი.

ხელისუფლების შესაბამისი რგოლებიდან არასათანადო რეაგირების შემდეგ მეცნიერმა დახმარებისთვის ნანი ჭანიშვილს მიმართა, რომელიც „ობიექტივში“ საავტორო გადაცემას უძღვება. ჯორჯიის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევისა და ქართველი მეცნიერების სანაქებო აქტიურობის შესახებ მეც „ობიექტივის“ გადაცემიდან შევიტყვე და ფიზიკის ინსტიტუში მივედი.

ალეკო ღონღაძისა და პაატა იმნაძის თქმით, მადნეულის საბადოზე, სადაც მადნის მოპოვება ღია კარიერებიდან მიმდინარეობს, ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ: განხორციელებული აფეთქებების სიძლიერეზე, ტემპერატურაზე, ქარზე, ნალექზე და სხვ. ისინი თვლიან, რომ ამ მიმართულებით შესაძლებელია ფართომასშტაბიანი სამეცნიერო კვლევების დაგეგმვა და განხორციელება. მათი აზრით, აუცილებელია არსებული მდგომარეობის უფრო მეტად სიღრმისეული და ფართომასშტაბიანი განხილვა, მიმდინარე პროცესების დინამიკის შესწავლა:

„ამისათვის, უპირველესად აუცილებელია ბოლნისის რაიონის ყველა სოფელში და მასთან ერთად ჭიათურისა და ზესტაფონის რაიონების სოფლებში სისტემატიური მონიტორინგის ჩატარება. აგრეთვე, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სხვა კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების შესაბამისი სამეცნიერო პოტენციალი. რაც შეეხება ფიზიკის ინსტიტუტს — აღნიშნული მიმართულებით ის კვლავ გააგრძელებს დაწყებულ კვლევებს. ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხით სახელმწიფოს დაინტერესების შემთხვევაში სხვა უნივერსიტეტებთან ერთობლივი თანამშრომლობით შევძლებთ ამ მძიმე პრობლემის გადაჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკავშირის ბაზარი ჩვენთვის მხოლოდ თეორიულად იქნება ღია. მძიმე ელემენტებით დაბინძურებულ სურსათს იქ არავინ მიიღებს“.

ნინო მიქიაშვილი,
სპეციალურად
„საქართველოს რესპუბლიკისთვის“.

◎ ᲔᲰ, ᲒᲐᲖᲘ, ᲒᲐᲖᲘ!..

ᲬᲣᲠᲑᲔᲚᲔᲑᲘ „ᲧᲐᲖᲢᲠᲐᲜᲡᲒᲐᲖᲨᲘ“

ᲚᲛᲔᲠᲗᲘ-ᲠᲯᲣᲚᲘ, ᲬᲣᲠᲑᲔᲚᲔᲑᲘ ᲧᲐᲖᲢᲠᲐᲜᲡᲒᲐᲖᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲠᲥᲛᲔᲕᲘᲐ, ᲔᲡ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲝᲙᲘᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲡ. ᲕᲘᲠᲪ ᲒᲐᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑ, ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲤᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ „ᲧᲐᲖᲢᲠᲐᲜᲡᲒᲐᲖᲛᲐ“ ᲐᲣᲬᲧᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲬᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲔᲑᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲐᲣᲑᲐ „ᲡᲝᲙᲐᲠᲛᲐᲪ“, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲐᲜ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲬᲠᲐᲮᲕᲐ ᲛᲐᲚᲔᲚᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ. „ᲡᲝᲙᲐᲠ ᲔᲜᲔᲠᲯᲘ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ“ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲘᲠ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲖᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ „ᲡᲝᲙᲐᲠᲘᲡ“ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲢᲐᲠᲘᲤᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ.

გამოდის, რომ გაზის გაძვირების ინიციატორი „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ყოფილა, რომელიც თავს აცოდებს მომხმარებლებს, რომ ისედაც ვალებში ჩაფლულ კომპანიას ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, გაზი გაუძვირდა და შემოსავლები შეუმცირდა. ამან გააჩინა ეჭვი, რომ, თუ „ყაზტრანსგაზი“ აირს გააძვირებს, სწრაფად გაძვირდება სამომხმარებლო პროდუქტებიც, განსაკუთრებით პური, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ისედაც გაძვალტყავებულ მოსახლეობას.

ხალხის უკმაყოფილებით შეშფოთებული მთავრობა იძულებული გახდა დამამშვიდებელი განცხადება გაეკეთებინა. კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ერთგვარად განმუხტა მძიმე ვითარება, როცა განაცხადა, რომ **ქართული მხარე გაზის მიმწოდებელ აზერბაიჯანულ „სოკართან“ შეთანხმებას მოახერხებდა და ამ ეტაპზე მაინც შეძლებდა საქართველოში გაზის გაძვირების თავიდან აცილებას**.

ამით თითქმის წერტილი დაესვა ყოველგვარ გაუგებრობას და აჟიოტაჟიც ჩაცხრა, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული ძალები მაინც „ათამაშებენ კუნთებს“, სურთ ხელში ჩაიგდონ ეს კომპანია („ყაზტრანსგაზი“) და სურვილისამებრ ატყავონ ხალხი და მეწარმეები. ამის დასტურია პრესაში გახმაურებული ცნობა, რომ გაზის ტარიფთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერაც არ შეუცვლია „ყაზტრანსგაზ-თბილისს“. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ეკა სარია „რეზონანსთან“ (12 თებერვალი, 2015 წ.) საუბრისას აცხადებს, რომ **„პირველი მარტიდან იურიდიული პირებისთვის გაზის გაძვირების საკითხი ისევ ძალაში რჩება, მათ შორის, პურის საცხობებისთვისაც“**.

ამან მეწარმეები ერთიანად დააბნია, ვეღარ გაიგეს, რომელს დაუჯერონ, „სოკარს“, რომელიც გაზის გაუძვირებლობის პირობას იძლევა, თუ „ყაზტრანსგაზს“, რომელიც მეწარმეებს ისევ და ისევ ტარიფის გაზრდით ემუქრება?!

— რა ვიფიქროთ, აღარ ვიცით, — განაცხადა ჩემთან საუბარში მეწარმე **ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲒᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔ**, — ნუთუ პრემიერზე მეტის თქმის უფლებას უნდა აძლევდეს თავს გაურკვეველი კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, რომელშიც წამლად ერთ ყაზახსაც ვერ იპოვით (ჯერ ისევ ნაცების ნარჩენებითაა სავსე). **ეგ თუ ნამდვილად ყაზახური ორგანიზაციაა, წავიდეს და ყაზახეთიდან შემოიტანოს გაზი, თანაც „სოკარზე“ უფრო იაფად. არა, რატომ უნდა გაინძრეს, არ ურჩევნია, „სოკარისგან“ იყიდოს, მერე სპეკულაციურ ფასებში მოგვყიდოს და მეწარმეებს სისხლი წურბელასავით გვწოვოს?**

კარგად გვახსოვს, როცა „ოცნება“ მოდიოდა ხელისუფლებაში, გვპირდებოდა, გაზის ტარიფები ხელოვნურად არის გაზრდილი და მის ოდენობას 70-75 თეთრიდან 24-24 თეთრამდე შევამცრებთო. შემდეგ, როცა მოღვაწეობას შეუდგა, იყო მცდელობა, „ყაზტრანსგაზს“ 5 თეთრით მაინც შეემცირებინა ტარიფი, მაგრამ ამის მიღწევაც შეუძლებელი გახდა. ახლა კი იმ 75 თეთრსაც აღარ სჯერდებიან და ლარის გაუფასურების მომიზეზებით, უნდა საკუთარი ბიზნესი ისედაც დაბალშემოსალიანი მეწარმეების ხარჯზე აკეთონ.

ახალმა მთავრობამ სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება ნამდვილად დაიწყო, მივესალმებით პრემიერ ღარიბაშვილის პოზიციასა და სწორ გადაწყვეტილებას ბუნებრივ აირზე ტარიფების შენარჩუნების საქმეში, მაგრამ ნაცნარჩენები თავიანთ ავკაცობას რომ არ იშლიან? გაზის გაძვირების თაობაზე ცნობა ჯერ ტელევიზიითაც არ იყო გახმაურებული, რომ „ყაზტრანსგაზში“ მეორე დღესვე ხელშეკრულებები შეცვალეს და საწარმოებში ახლები ჩამოგვირიგეს.

გაკვირვებას იწვევს სემეკის პოზიცია (უფრო სწორად, უპოზიციობა), რომელმაც ტელევიზიით განაცხადა, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ტარიფების დარეგულირებაში ვერ ჩავერევითო. როცა არარსებულის დარეგულირება შემოიღეს, მაშინ ხომ ჩაერივნენ? მათ, როგორც ჩანს, საკუთარი ხელფასების ზრდა უფრო პრიორიტეტულად მიაჩნიათ, ვიდრე მეწარმეთა ინტერესების დაცვა.

გაზის მოსალოდნელი გაძვირების გამო უკმაყოფილებას ვერ მალავს პურის საცხობის მესაკუთრე **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲐᲒᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ**, რომელიც აცხადებს, რომ თუკი გაზის ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილება ძალაში დარჩება, მას პურის ფასის შენარჩუნება გაუჭირდება. მით უფრო, რომ, როგორც მეწარმე განმარტავს, უკვე გაძვირდა ფქვილი, უფრო ადრე კი სხვა სახის კომუნალური გადასახადები.

— კომერციული გაზი ისედაც აუტანლად ძვირი გვიჯდება მეწარმეებს (75-86 თეთრი), — ამბობს ის, — და ახლა თუ კიდევ მოიმატა ფასი, ნამდვილად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. არ მინდა ვიწუწუნო, მაგრამ მთავრობაში, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ პურის თვითღირებულებაში მარტო გაზის წილად 15-18 პროცენტი მოდის, რომ აღარაფერი ვთქვა წყალზე, რომელსაც ოქროს ფასად (4,4 ლარად) გვასყიდებენ. აქედან გამომდინარე, როცა მეკითხებიან, გაზის გაძვირების შემთხვევაში, რამდენით შეიძლება გაძვირდეს პურიო, აღარ ვიცი რა ვუპასუხო.

„ჩემ პურზე ვიანგარიშე, — ამბობს ვახტანგ საგანელიძე, — და არც მეტი, არც ნაკლები, მატება სულ მცირე 10 თეთრი გამომივიდა. ალბათ, ყველა პურის მცხობელი მოუმატებს ფასს, მაგრამ მე ვერ ვიტყვი, ვინ რამდენს. გააჩნია, ვის როგორი ღუმელი აქვს და რა რაოდენობის გაზს მოიხმარს. ერთი კი ცხადია, რომ პურს თუ 10 თეთრით გავაძვირებ, ამას დისტრიბუტორი ერთ 10 თეთრს თავის სასარგებლოდ წაუმატებს, შემდეგ ამდენივეს — მაღაზია და მომხმარებელს სულ მცირე პური 30 თეთრით მაინც გაუძვირდება“(!).

ეს არ არის კარგი პროცესი. ჩვენ, მეწარმეები, ველოდებოდით, რომ გაზის, წყლის, დენის ფასს დაწევდნენ, მაგრამ, პირიქით, ასწიეს. რომ აცხადებენ, ქართველ მეწარმეებს საქმიანობისა და კონკურენტუნარიანობისთვის პირობები უუმჯობესდებათო, ეს არის გაუმჯობესება? — კითხულობს შეცბუნებული მეწარმე.

კარგით ჰო, ქართველ მეწარმეთა ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლებისა და „ყაზტრანსგაზისადმი“ შეიძლება მათი ერთგვარი სუბიექტური მოსაზრებებით ავხსნათ, მაგრამ როგორ გინდათ, გაამტყუნოთ არასამთავრობო ორგანიზაციის — „ახალგაზრდა ადვოკატების“ გადაწყვეტილება, რომლებიც აპირებენ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანონ და კომპანიის მიერ მიღებული ტარიფმატების პოლიტიკა გაასაჩივრონ.

მაინც რას ედავებიან „ახალგაზრდა ადვოკატები“ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ კომპანიას? იურისტ ლევან ბერაძის განცხადებით „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 2015 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება — გაზის მომხმარებელ იურიდიულ პირებს გაეზარდოთ მომსახურების ტარიფი და მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ტარფი განისაზღვროს ყოველი 1000 კბმ გაზისათვის 900 ლარით, წარმოადგენს კომპანიის მხრიდან მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულების უხეშ დარღვევას, ხელშეკრულების ცვლილებების ცალმხრივ მიზანს და მიუთითებს „ყაზტრანსგაზის“ არაკეთილსინდისიერ მოქმედებაზე. ვადიანი ხელშეკრულების ცალმხრივად შეცვლის იმპერატიული მოთხოვნა სერიოზულ ზიანს აყენებს იურიდიული პირების საქმიანობას და უხეშად არღვევს მომხმარებლის უფლებებს.

ვერ გეტყვით, რით იმართლებენ თავს ხელშეკრულების პირგამტეხი და ტარიფომონიით დაავადებული „ყაზტრანსგაზის“ მესვეურები, თუ ასეთი სასამართლო მართლა შედგა, მაგრამ იმას ვერსად გაექცევიან, რომ ენერგეტიკის სფეროში მოქმედი მაღალი სამომხმარებლო ტარიფები მძიმედ აწვება როგორც კომპანიებს, ისე ქვეყნის ეკონომიკის დინამიკურ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. თუმცა, აჯობებს, დაველოდოთ პრემიერ ღარიბაშვილის მიერ მეწარმეებისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას (თუ შეუსრულებლობას) და დასკვნები შემდეგ გავაკეთოთ.

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲔᲡ ᲠᲐ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ!..

ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲓᲐᲜ — ᲞᲣᲠᲐᲛᲓᲔ...

ᲑᲝᲚᲝ თვეებში საქართველოში ცხოვრება აშკარად **გაძვირდა. მართალია, მთავრობა გვპირდება, რომ ქამრებს შემოიჭერს და ყველაფერს გამოასწორებს, მაგრამ ეს ოდნავაც ვერ ამცირებს იმ ზარალს, რომელიც ჩვენს მოსახლეობას ლარის გაუფასურებამ და პირველადი მოხმარების საგნების გაძვირებამ მოუტანა. თებერვლის დასაწყისიდან, ქართულ ბაზარზე ერთი ტომარა ფქვილის ფასმა საშუალოდ, 2-3 ლარით მოიმატა, რის გამოც ზოგიერთ საცხობში პური 5-10 თეთრით გააძვირეს, ხოლო ხალხში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ქარხნული პურის ფასმაც მოიმატოს.**

ხომ არ მოჰყვება ფქვილის გაძვირებას ყველა ოჯახისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტის — პურის გაძვირება? — ამ შეკითხვით მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელს ლევან სილაგავას მივმართეთ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲕᲐ: ამ ეტაპზე პურის გაძვირებისთვის საფუძველი არ არსებობს. **„ჩვენი მეპურეები ხშირად ამტკიცებენ, ოთხი წლის განმავლობაში პურის ფასი არ შეგვიცვლიაო. ამ ოთხი წლის განმავლობაში ფქვილის ფასი იყო როგორც მაღალი, ასევე — დაბალი. იყო კრიზისული პერიოდებიც, მაგრამ მათ ჰქონდათ რეზერვები, რომლითაც პურის ფასს ინარჩუნებდნენ. აქედან გამომდინარე, შიდა რეზერვების ხარჯზე მათ შეუძლიათ პური არ გააძვირონ და ძველი, კომფორტული ფასების ხარჯზე დაიჭირონ პურის ახლანდელი ფასი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არაკომფორტული ფასი ფქვილზე დღესაც არა გვაქვს...**

ამის დამამტკიცებლად სილაგავამ გასული წლების სტატისტიკაც მოიშველია: **„შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ნოემბრიდან დაიწყო ფქვილის გაძვირება და თუ ადრე 1 ტომარა ფქვილი 35 ლარი ღირდა, 2013 წლის მარტში მისი ფასი უკვე 45 ლარი გახდა. 2013 წლის აპრილის შემდეგ ფასებმა ისევ იკლო და ერთი ტომარა ფქვილის ფასი მთელი წლის განმავლობაში 35 ლარი იყო. ეს ფასი შენარჩუნდა ამ დრომდე, ანუ 2015 წლის თებერვლის დასაწყისამდე. თითქმის ორი წლის განმავლობაში ფქვილი 35 ლარი ღირდა. ახლა კი, თანდათან ძვირდება — მისი ფასი 37-38 ლარი გახდა. მიუხედავად ყველაფრისა, ეს არ არის კრიტიკული ფასი, რომლის დროსაც ქვეყანაში პური ძვირდება. თუმცა, მაინც არ გამოვრიცხავ, რომ ფასებმა აიწიოს, ვინაიდან ლარის დევალვაცია ხორბლის ფასზე ძალიან მოქმედებს. შარშანდელი ნოემბრის შემდეგ მეხორბლეებს ხორბალი მეტისმეტად გაუძვირდათ. ზარალს ძირითადად წისქვილკომბინატები ნახულობენ იმიტომ, რომ ისინი ხორბალს დოლარში ყიდულობენ, გადაამუშავებენ ფქვილად და მერე მეპურეებზე ეროვნული ვალუტით ყიდიან. ლარის გაუფასურება მეპურეებზე იმდენად არ მოქმედებს იმიტომ, რომ ისინი ყველა ოპერაციას ეროვნული ვალუტით ასრულებენ. ჩვენ კი, ხორბალი საშუალოდ 40 პუნქტით გაგვიძვირდა. ვფიქრობ, მომდევნო 2-3 თვე წისქვილკომბინატებსაც და პურის ქარხნებსაც დაძაბულ რეჟიმში მოუწევთ მუშაობა. პური სოციალური პროდუქტია და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ არ გაძვირდეს“,** — აცხადებს ლევან სილაგავა.

მისივე განცხადებით, პროდუქცია მცირე საცხობებმა და თონეებმა შეიძლება გააძვირონ იმიტომ, რომ ეს არ არის სოციალური მნიშვნელობის მქონე პური. **„კერძო საცხობები ძირითადად ლავაშს აცხობენ და მათ მიერ პურის გაძვირება საყოველთაო ფასზე ვერ იმოქმედებს. რაც შეეხება დიდ საწარმოებს, მათ მთელი ორი წელი კომფორტული ფასი ჰქონდათ და ახლა, რამდენიმე თვის კრიზისის გამო პროდუქცია არ უნდა გააძვირონ. ჩვენმა მეპურეებმა როგორღაც უნდა შეძლონ ფასის შენარჩუნება, თუმცა, ყველაფერი მათზე არ არის დამოკიდებული. მთავარი მაინც ის არის, თუ რა პროცესები განვითარდება ამ დარგში და, საერთოდ, ქვეყანაში“,** — აღნიშნა ლევან სილაგავამ.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲩᲘᲒᲝᲒᲘᲫᲔ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

უკრაინის ხელისუფლების ქართული აქცენტი

რეფორმების წარმატება უკრაინაში ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. უწინარეს ყოვლისა - უკრაინის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე

2014 წლის ბოლოს ერთდროულად უკრაინის სამ სამინისტროში — ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციისა — ქართველმა სპეციალისტებმა დაიწყეს მზადება რეფორმების განხორციელებისთვის. „ლგიონერების“ მიზანია — დაამხონ კორუმპირებული სისტემა და ბიძგი მისცენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. შეძლებენ თუ არა ისინი ამას, ცნობილი გახდება უახლოეს პერიოდში. რეფორმების განხორციელების სისწრაფესა და ხარისხზე დამოკიდებულია არა მარტო რეფორმატორების ბედი, არამედ უკრაინის სახელმწიფოს მომავალიც.

სამუშაოთა მწარმოებელი სააკაშვილი

ძართველი „ლეგიონერების“ მთავარი ფიგურა მიხეილ სააკაშვილია. სწორედ მისი წყალობით უკრაინაში ჩავიდა რეფორმატორების მთელი გუნდი თბილისიდან. მათ აქვთ დადებითი გამოცდილება კორუფციასთან ბრძოლასა და ძალოვანი უწყებების რეფორმირებებთან დაკავშირებით. ამ გუნდში სააკაშვილს მოთამაშე მწვრთნელის როლი აქვს გამოყოფილი.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უკრაინასთან ბევრი რამ აკავშირებს. მან განათლება მიიღო კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. ეს უმაღლესი სასწავლებელი რამდენიმე წლით ადრე დაამთავრა პიოტრ პოროშენკომაც.

2004 წელს პრეზიდენტის პოსტზე სააკაშვილმა აქტიურად დაუჭირა მხარი უკრაინის მაშინდელ ოპოზიციას ვიქტორ იუშჩენკოს მეთაურობით, რომელიც მოგვიანებით ხელისუფლებად იქცა. იუშჩენკომ, უკვე სახელმწიფოს მეთაურის სტატუსში, მონათლა სააკაშვილის მეორე ვაჟიშვილი.

კიევი თბილისს სააკაშვილს არ გაადასტემს

თავისი პრეზიდენტობისა და მის შემდეგაც სააკაშვილს არ დაუკარგავს კონტაქტები „ნარინჯისფერების“ წარმომადგენლებთან უკრაინაში. ამიტომ არ იყო გასაოცარი მისი გამოჩენა კიევში იანუკოვიჩის რეჟიმის დამხობის შემდეგ. 2014 წლის დეკემბერში სააკაშვილს შესთავაზეს ვიცე-პრემიერის პოსტი უკრაინის მთავრობაში, მაგრამ მან უარი განაცხადა. მას აგრეთვე უწოდებდნენ ერთ-ერთ პრეტენდენტს ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

მაგრამ საქართველოს ექსპრეზიდენტმა უპირატესობა მიანიჭა პრეზიდენტ პოროშენკოს შტატგარეშე მრჩევლის თავმდაბალ თანამდებობას. ამის შემდეგ საქართველოს პროკურატურამ მოითხოვა უკრაინისგან გადაეცათ სააკაშვილი თბილისისთვის, რომელსაც დაუსწრებლად სამშობლოში პატიმრობა მიუსაჯეს. ეს, რასაკვირველია, ძნელად რომ მოხდეს. სააკაშვილი ხომ — ამჟამინდელი უკრაინული გარდაქმნების ერთ-ერთი „დროშაა“.

პოლიცია - მილიციის ნაცვლად, ბრძოლა კორუფციასთან

ამ დროს, ალბათ, ყველაზე რადიკალურ რეფორმას ამზადებს უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე. მან უკვე განაცხადა განზრახვის შესახებ — მილიციას უწოდოს პოლიცია, მომავალი ცვლილებების შესახებ ნორმატიულ ბაზასა და ფუნქციონალურ დაყოფაში. გარდაქმნები დაიწყება სახელმწიფო ავტოინსპექციის საფუძველზე ახალი საპატრულო სამსახურის შექმნით. კერძოდ, ეს პროცესი უკვე დაიწყო. პირველი შედეგები გამოჩნდება 2015 წლის გაზაფხულზე.

სწორედ მაშინ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი გვპირდება წარმოადგინოს უკრაინის ჯანმრთელობის სისტემის ახალი საკანონმდებლო ბაზა. კიდევ ოთხი ქართველი იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის გია გეწაძის მეთაურობით ამზადებს რეფორმებს იუსტიციის სამინისტროში. უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე კი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს შექმნაში, აცხადებს აგრეთვე პრეტენზიას — ჩაუდგეს კიდეც მას სათავეში.

რეფორმების ხარისხის შესახებ, რომლებიც შესთავაზეს ქართველმა სპეციალისტებმა, რასაკვირველია, შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ დროის გასვლის შემდეგ. უკრაინაში ყველას ესმის: სასწაული არ იქნება, წინ არის დიდი და რთული მუშაობა.

ქართველი „ლეგიონერები“ და უკრაინული სისტემა: ვინ ვის?

რეფორმების წარმატება ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. და უწინარეს ყოვლისა — უკრაინის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე. 2004 წლის ნიმუშის სიტუაცია საქართველოში კარდინალურად განსხვავდება ამჟამინდელი სიტუაციისგან უკრაინაში.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოში სათავეში ჩაუდგა თანამოაზრეთა გუნდს, რომლებსაც არაფერი აკავშირებდათ წინა ხელისუფლებასთან. მათ არაფერი ჰქონდათ დასაკარგი. და მათ დაიწყეს იმ დროს არსებული სისტემის მსხვრევა. ალბათ, ეს არის ქართული გარდაქმნების მთავარი წარმატება კორუფციასთან ბრძოლაში. უკრაინის ხელისუფლებაში სხვადასხვა დონეზე ამჟამადაც არიან ისინი, რომელთა მეშვეობითაც წარმოიქმნებოდა სისტემა იუშჩენკოსა და იანუკოვიჩის მმართველობის წლებში. სწორედ ამ ჩინოვნიკების მონაწილეობით (აქტიურად თუ პასიურად) ჩამოყალიბდა არსებული სისტემაც, რომელიც უნდა შეცვალონ ქართველმა „ლეგიონერებმა“.

აბსოლუტურად ცხადია, რომ უკრაინაში რეფორმების წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა არა მხოლოდ იდეოლოგები „ლეგიონერების“ რიცხვიდან. უკრაინული რეფორმები მოითხოვენ მკაფიო პერსონიფიკაციას. კერძოდ კი — ვინ არის ამ გარდაქმნათა დამკვეთი? პრეზიდენტი პოროშენკო? პრემიერი იაცენიუკი? ვინ კისრულობს პასუხისმგებლობას მათზე? და წარუმატებლობის შემთხვევაში ვინ გაიყოფს ქართველ სპეციალისტებთან პასუხისმგებლობას? სწორედ ამ შეკითხვების პასუხებზე არის დამოკიდებული იმ რეფორმების მომავალი, რომლებიც ქართველებმა დაიწყეს უკრაინაში.

DW-WORLD.DE
DEUTSCHE WELLE

სერგეი რუდენკო,
ჟურნალისტი, ტელეწამყვანი.

დედამიწის ზურგზე

სამართალდამცავები მოითხოვენ გადაისინჯოს ვეტოს უფლება გაეროს უშიშროების საბჭოში: იგი ართულებს ბრძოლას შეიარაღებულ დაჯგუფებებთან

ამის შესახებ საუბარია „ამნისტი ინტერნეიშნლის“ ორგანიზაციის მოხსენებაში, რომელიც მოსკოვში წარადგინეს. მასში აღნიშნულია იმ შეიარაღებულ დაჯგუფებათა მონაწილეობის გაძლიერება სამხედრო კონფლიქტებში, რომლებიც კვაზისახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ. ამ დროს მათთან ბრძოლა მეტად რთულია: პრობლემის გადაჭრა სამხედრო საშუალებებით ჯერჯერობით არ გამოდის.

* * *

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნოვოაზოვსკის რაიონში შენიშნა „რუსი სამხედრო მოსამსახურეების რიცხვის გაზრდა“

სამხედრო მოსამსახურეების გარდა, იზრდება მძიმე ტექნიკის, ტანკების, საარტილერიო დანადგარების რაოდენობა, განაცხადა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველმა ზორიან შკირიაკმა. ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროში იტყობინებოდნენ სამხედრო ტექნიკისა და სამხედროების თავმოყრის შესახებ გორლოვკაში. ამ დროს დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში ამტკიცებენ, რომ გაჰყავთ შეიარაღება.

* * *

ეუთო მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილეებს უკრაინაში, რაც შეიძლება მალე წარმოადგინონ ინფორმაცია შეიარაღების შესახებ

გავიდა ათ დღეზე მეტი, რაც თხოვნა გაიგზავნა ძალოვანებისა და სეპარატისტების მისამართით. ინფორმაცია მძიმე შეიარაღების შესახებ საჭიროა, რათა კონტროლი დაწესდეს მათ გაყვანაზე გათიშულობის ხაზიდან, მიუთითებენ ექსპერტები. უამისოდ შეიძლება თვალყური ადევნო მხოლოდ იარაღს, და ვერ გააკონტროლო მათი გაყვანა.

* * *

დიდი ბრიტანეთი გახდა პირველი ქვეყანა, სადაც შეიძლება ბავშვის ჩასახვა სამი ადამიანის დნმ-ის გამოყენებით

ახალი კანონპროექტი საშუალებას იძლევა ხელოვნური განაყოფიერების დროს გამოყენებულ იქნეს მშობლებისა და დონორი ქალის გენები. ეს დაეხმარება თავიდან იქნეს აცილებული მემკვიდრეობითი დაავადებების გაჩენა, რაც გამოწვეულია დარღვევებით მიტოქონდრიის გენებში. მეცნიერებმა ნიუკასლიდან ჯერ კიდევ 2010 წელს შექმნეს ადამიანის ემბრიონი სამი მშობლის გენეტიკური მასალის საფუძველზე.

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველოს პრეზიდენტი ზურაბ აბაშიძის განცხადებებს გამოეხმაურა

„მე დაახლოებით ორი კვირის წინათ მოკლედ, ხოლო ჩემმა მრჩეველმა უფრო ვრცლად გავაკეთეთ კომენტარი იმის თაობაზე, რომ არსებულ ძალიან რთულ ვითარებაში — როგორც გეოპოლიტიკურად, ისე რუსეთის ფედერაციასთან რთული ურთიერთობის ფონზე, ჩვენ უფრო ზუსტად უნდა გვქონდეს დიფერენცირებული, რომელი სახელმწიფო უწყება რა თემებზე აკეთებს კომენტარს“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე მიესალმება, თუ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგში რუსეთი თბილისს ხელს შეუწყობს.

როგორც აბაშიძემ „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში განაცხადა, საქართველო აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის ახალ ფორმებს განიხილავს და მიესალმება, თუ მოსკოვს ექნება გაზრახვა, პირდაპირ კონტაქტებს ხელი შეუწყოს.

„თუ დიალოგი დაიწყება და რუსეთი სინამდვილეში ხელს შეუწყობს და მოტივირებას მოახდენს პირდაპირი დიალოგის ჩვენსა და აფხაზებს, ჩვენსა და ოსებს შორის, მზად ვართ სტატუსთან დაკავშირებული საკითხები გარკვეული დროით გვერდზე გადავდოთ და ისეთი საკითხები განვიხილოთ, როგორიცაა ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ბიზნესი, განათლება, ჯანდაცვა, წყალი, გაზი. მოდი, გადავწიოთ საერთო წითელი ხაზები და დავიწყოთ ადამიანური პრობლემებით“, — განაცხადა აბაშიძემ.

აბაშიძე ასევე გამოეხმაურა „როსნეფტის“ საქმიანობას საქართველოში და და იმ კრიტიკას, რომელიც, მისი თქმით, „როსნეფტი“ შვილობილი კომპანიების მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონდარღვევაზე ინფორმაციამ გამოიწვია.

„წარმოიშვა კითხვები იმის შესახებ, ხომ არ არღვევს ეს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და რომ „როსნეფტის“ რაღაც შვილობილი კომპანიები აფხაზეთში ბიზნესით არიან დაკავებული. ამიტომ ჩვენმა სპეციალისტებმა დაიწყეს ამ საკითხის შესწავლა“, — განაცხადა აბაშიძემ და დასძინა, რომ „როსნეფტი“ აგრძელებს თავის საქმიანობას და არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

ინტერპრესი

მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ბიზნესმენებს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა წარუდგინა

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, ძალიან კონსტრუქციული შეხვედრა იყო ბიზნესის წარმომადგენლებთან, სადაც საუბარი იყო იმ გეგმებზე, რომელიც უახლოეს დღეებში ხორციელდება და განხორციელდება, რათა დაბალანსდეს სავალუტო დისბალანსი და საშუალოვადიან პერსპექტივაში გამოსწორდეს სიტუაცია.

„ყველანაირი საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ეს ასე მოხდება. ჩვენ წარვუდგინეთ მათ ჩვენი ნაბიჯების ჩამონათვალი. წარვადგინეთ კონკრეტული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. უკვე დარბაზშივე გამოითქვა სურვილი რამდენიმე ობიექტთან დაკავშირებით, რაც ნიშნავს, რომ ეს არის აბსოლუტურად რეალისტური ინვესტიციები. მარტო ამ ობიექტებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორი-სამი თვის პერიოდში შევძლებთ დაახლოებით 300-350 მილიონი დოლარის მობილიზებას. ამას გარდა, ჩვენ გვექნება ძალიან სერიოზული ნაბიჯები საკანონმდებლო კუთხით ბიზნესისადმი და ინვესტიციებისადმი ხელშეწყობის მიმართულებით, რასაც, ალბათ, უახლოეს დღეებში პრემიერ-მინისტრი გააჟღერებს“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება საპრივატიზაციო ობიექტებს, მისი თქმით, ჩამინათვალი დიდია. როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, ეს არის ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა, ეკონომიკის სამინისტროს მოქმედი შენობა, სადაც არის საშუალება, რომ მათ გამოიცვალონ ადგილი და აშენდეს სასტუმრო დანიშნულების ობიექტი. ეს არის ბობოყვათის რეზიდენცია, წყნეთის სამთავრობო აგარაკების ტერიტორია, თბოელექტროსადგური, ლატარიის კომპანია, რომლის ლიცენზიაზე გამოტანაც უახლოეს დღეებში იგეგმება და ა. შ.

ნოდარ ხადური ბიუჯეტის პარამეტრების გადახედვას არ გამორიცხავს

როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, გეგმა ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებას. როგორც ხადურმა აღნიშნა, დღეს ბიზნესს მთავრობის წარმომადგენლები ესაუბრნენ ლარის გაცვლის კურსთან დაკავშირებით როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან გეგმებზე.

„მოკლევადიანი გეგმა ითვალისწინებს მნიშვნელოვნად დაჩქარდეს პრივატიზაცია. ამავე გეგმაში იგულისხმება, გაიზარდოს ცნობადობა და ტურისტული მიმზიდველობა საქართველოში და ამაზეც ეკონომიკის სამინისტრო აქტიურად მუშაობს. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს, ბიუჯეტის და ფისკალური პოლიტიკის თვალსაზრისით პროგნოზის შემცირების კვალობაზე მოგვიწევს ბიუჯეტის გადახედვა. ბიუჯეტში არ შემცირდება ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტებისთვის, ასევე სოციალური კუთხით გამოყოფილი ხარჯები. ჩვენ სერიოზულ საგადასახადო სტიმულებზე ვმუშაობთ, ეს ეხება მშენებლობის სტიმულირებას“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

500-მდე მედიკამენტი გაძვირდა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს ინფორმაციით, გუშინდელი მონაცემებით, 15 000 საბაზრო დასახელებიდან 500-მდე მედიკამენტზე ფასი 15-20%-ის ფარგლებში არის მომატებული.

როგორც დავით სერგეენკომ განაცხადა, უწყება მედიკამენტების ფასებზე მონიტორინგს აწარმოებს და, სამწუხაროდ, ეს ფასები ბოლო პერიოდის განმავლობაში სტაბილური არ არის.

„ინტერპრესნიუსის“ შეკითხვაზე, თუ აპირებს სახელმწიფო ამ პროცესში რაიმე ფორმით ჩარევას, მინისტრმა უპასუხა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ფუნქციაა ნებისმიერი საკითხის მართვაში მიიღოს მონაწილეობა, რაც ქვეყნის მოქალაქეების ჯანმრთელობას ეხება. „ჩვენ გვქონდა და გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომლის დამუშავება 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი. პირველი შედეგი ათ დღეში იქნება. თუმცა, გუშინ მე მივესალმე და კიდევ გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას ფარმაცევტული კომპანია PSP-ს მიმართ, რომელმაც გამოხატა კეთილი ნება და გუშინ პირველ ათ მედიკამენტზე ფასები 20%-ით შეამცირა. როგორც გვპირდება, ეს გაგრძელდება და პირველ დარტყმას შეამსუბუქებს“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

სასწრაფო დახმარების სამსახური ხარვეზებით მუშაობს

როგორც დავით სერგეენკომ განაცხადა, დაგვიანებები არის იმ ფორმატის, რომელიც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. მინისტრს იმედი აქვს, რომ დაგვიანებები ეპიზოდურია და სისტემური არ არის. დავით სერგეენკომ რაიონული სასწრაფო დახმარების სამსახურში არსებული მდგომარეობა გაიხსენა და აღნიშნა, რომ რაიონებშიც არსებობს ამგვარი პრობლემა. მისივე თქმით, იქ პირველი რიგის მოსაგვარებელი საკითხი ტექნიკური იყო, რადგან მანქანების 80%-ზე მეტი არ მუშაობდა. ტრანსპორტის ჩანაცვლების შედეგად კი, მინისტრის ინფორმაციით, რაიონებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. თუმცა, როგორც დავით სერგეენკომ განმარტა, თბილისის სასწრაფოს შემთხვევაში არის საორგანიზაციო მენეჯმენტის პრობლემა და არა ავტოპარკის გაუმართაობასთან დაკავშირებული საკითხები.

ვინ ცრუობს, მერია თუ „გამჭვირვალობა“?

2014 წლის აგვისტოდან დღემდე თბილისის მერიას ავტოსატრანსპორტო საშუალებები არ შეუძენია, — ამის შესახებ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა რევაზ ჩახავამ განაცხადა.

რევაზ ჩახავას თქმით, 2014 წლის აგვისტოდან დღემდე მერიას არც ახალი და არც ძველი ავტოსატრანსპორტო საშუალებები არ შეუძენია. მათ შორის არც გამგეობებისათვის.

„ადრე შეძენილი 200-ზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალება დაგვხვდა და უახლოეს პერიოდში მერია ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე სხვა საშუალებების შეძენას არ აპირებ“, — აღნიშნა რევაზ ჩახავამ.

თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა კომენტარი გააკეთა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ კვლევასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, 10 სახელმწიფო უწყების მიერ 2012-2015 წლებში ტენდერებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენისთვის 147 მილიონი ლარი დაიხარჯა. კვლევაში მოხსენიებული არიან თბილისის მერია და „თბილსერვისი“. მათი განცხადებით, თბილისის მერიის მიერ შეძენილია 4,400 000 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალება.

აქცია საპატრიარქოს სამედიცინო ცენტრში

საპატრიარქოს სამედიცინო ცენტრში 28 თებერვალს უფასო სამეანო-გინეკოლოგიური გასინჯვების აქცია გაიმართება.

„საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრში ყოველი თვის ბოლო შაბათს უფასო სამეანო-გინეკოლოგიური გასინჯვების აქციები იმართება. აღნიშნული კლინიკის სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის პლატონ მაჭავარიანის განცხადებით, 10.00 საათიდან 14.00 საათამდე ნებისმიერი მსურველი სამეანო-გინეკოლოგიურ და ულტრაბგერით გამოკვლევებს უფასოდ მიიღებს“, — აცხადებენ კლინიკაში.

საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის მისამართია: ორთაჭალა, ვახტანგ გორგასლის 95.

საპარტნიორო ფონდის ახალი პროექტი

საპარტნიორო ფონდმა ადგილობრივ კომპანია შპს „ვანრიკ აგროსთან“ (VANRIK AGRO) ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და ლურჯი მოცვის მოყვანა და გადამუშავება ოფიციალურად დაიწყო.

პროექტი ოზურგეთის რაონის დაბა ლაითურში განხორციელდება.

პროექტი მიზნად ისახავს 70 ჰექტარ ტერიტორიაზე ლურჯი მოცვის პლანტაციის გაშენებას და გადამმუშავებელი საწარმოს მოწყობას, სადაც ლურჯი მოცვის ნაყოფის კალიბრაცია, შეფუთვა და სარეალიზაციოდ მომზადება მოხდება.

როგორც საპარტნიორო ფონდში აცხადებენ, პროექტი 400 ადგილობრივს დაასაქმებს, საიდანაც 100 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი და 300-მდე სეზონური მუშახელი იქნება. მსოფლიოში ლურჯი მოცვის მოხმარების მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, კომპანია პროდუქციის 90%-ის ექსპორტზე გატანას გეგმავს. როგორც კოვზანაძემ აღნიშნა, ფონდი ქართული პროდუქტის ექსპორტის წახალისებაში სერიოზულ წვლილს შეიტანს.

პროექტის ჯამური ღირებულება 6,7 მილიონი აშშ დოლარია.

ბჭობენ, თუ როგორ შეუმსუბუქონ მოქალაქეებს დოლარში აღებული სესხი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს სთხოვა, ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ გეგმა, თუ როგორ შეუმსუბუქონ ტვირთი ფიზიკურ პირებს, რომლებსაც სესხი დოლარში აქვთ, შემოსავალი კი — ლარებში, — ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ კომერციული ბანკების ხელმძღვანელებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, ეს არ არის საკითხის ფუნდამენტური მოგვარება, მაგრამ ვიდრე აღდგება სავალუტო შემოდინებები, ფუნდამენტური ფაქტორები გამოსწორდება, ლარს ექნება გამყარების ტენდენცია, იქამდე ეს იქნება გარკვეული შვება ადამიანებისთვის.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, მიდგომები იქნება ინდივიდუალური, რადგან შეუძლებელია ამის სტანდარტიზაცია გაკეთდეს. მისივე თქმით, ეროვნული ბანკის კომპეტენცია ვრცელდება კომერციულ ბანკებზე. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ისინი არ რეგულირდებიან.

„თბილისის ზღვის პლაზაში“ კომერციულ ფართებზე აქცია დაიწყო

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ჰუალინგ ჯგუფიდან“ აცნობეს, აქციის ფარგლებში, „თბილისის ზღვის პლაზასთან“ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, დამქირავებელი იჯარაზე 50%-იან ფასდაკლებით ისარგებლებს — კვადრატული მეტრის ფასი 12 აშშ დოლარის ნაცვლად 6 აშშ დოლარი დაუჯდება.

„ჰუალინგ ჯგუფის“ ინფორმაციით, „თბილისის ზღვის პლაზაში“ სავაჭრო ფართები გარემონტებული და დასრულებულია, ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები გამართული და მაღაზიების დიდი ნაწილი გაქირავებული. მათივე ინფორმაციით, პლაზა დღეისათვის ისეთი სახეობის პროდუქციით არის დატვირთული, როგორიცაა: ავეჯი, სამშენებლო მასალები, ტანსაცმელი, აქსესუარები, საბავშვო სათამაშოები, განათება, ჰიგიენური საშუალებები, ავტომანქანის ნაწილები და სხვა. „ჰუალინგი. თბილისის ზღვის პლაზაში“ ფუნქციონირებს ახალი ჩინური რესტორანი, ბაზისბანკის ფილიალი და ასე შემდეგ. „თბილისის ზღვის პლაზა“ 2014 წლის ივნისში „ჰუალინგი. თბილისის ზღვის ახალ ქალაქში“ გაიხსნა.

განათლების სამინისტრომ პირველკლასელთა მიღებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განაცხადეს, წელს საჯარო სკოლების პირველ კლასში იმ ბავშვებსაც მიიღებენ, რომელთაც ექვსი წელი 14 სექტემბერს შეუსრულდებათ. საჯარო სკოლებში სწავლა 10 სექტემბრის შემდეგ, პირველივე ორშაბათს იწყება. 2015-2016 სასწავლო წელი 14 სექტემბერს დაიწყება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, კანონი გამონაკლისის დაშვებას არ ითვალისწინებს და ხუთი წლის ბავშვები სკოლებში არ დაიშვებიან.

◎ რაგბი

ესპანეთთან — ზირაქაშვილის და მალაღურაძის გარეშე

კვირაზე ნაკლები რჩება რაგბის ევროპის 2015 წლის გათამაშების მესამე ტურის მატჩამდე, რომელშიც „ბორჯღალოსნები“ მადრიდში ესპანეთის ნაკრებს ებურთავებიან. მატჩი 28 თებერვალს უნივერსიტეტის სტადიონზე ჩვენი დროით 19 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ გათამაშების პირველი ორი მატჩი „ბორჯღალოსნებმა“ მოიგეს, მაგრამ გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი რუმინეთს დაუთმეს, რადგანაც „მუხებმა“ ესპანეთი ბონუსით დაამარცხეს.

2 დღეა, საქართველოში მოთამაშე და ლეგიონერი „ბორჯღალოსნები“ ბარსელონასთან ახლოს, რაგბის კლუბ „უნიო სპორტივა სანბოიანას“ ბაზაზე შეიკრიბნენ და შაბათის მატჩისთვის მზადებას იქ განაგრძობენ.

წინა კვირას გამოცხადებულ რაზმში ორი ცვლილებაა: ამ უქმეებზე ფრანგული ტოპ 14-ის მე-18 ტურის მატჩში დავით ზირაქაშვილის „კლერმონი“ „რასინგ მეტროს“ ესტუმრა, რა დროსაც ქართველმა მორაგბემ ფეხის კუნთი დაიზიანა და, შესაბამისად, ესპანეთთან გუნდს ვერ დაეხმარება.

მადრიდში ასევე ვერ ითამაშებს ლაშა მალაღურაძე, რომელსაც პორტუგალიის ნაკრებთან მიღებული მხრის ტრავმა გაუმიზეზდა.

ამ რაგბისტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია კვირის განმავლობაში გახდება ცნობილი.

კოზა კოზახიძე

◎ კალათბურთი

კირილენკო მარკოიშვილის მხარდამხარ ითამაშებს

რუსი ფორვარდი ანდრეი კირილენკო, რომელსაც ზურგს ნბა-ში თამაშის დიდი გამოცდილება უმაგრებს, მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელი გახდა. 34 წლის კალათბურთელი (სიმაღლე 206 სმ.) მოსკოვის ცსკა-ს ღირსებას მიმდინარე სეზონის ბოლომდე დაიცავს.

გასული წლის დეკემბერში კირილენკო „ბრუკლინიდან“ „ფილადელფიაში“ გაუშვეს, თუმცა, ფეხი ვერც იქ მოიკიდა და მსოფლიოს უძლიერესი ლიგა თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა.

ანდრეი არმიელებს უკვე დღევანდელ ვარჯიშზე შეუერთდება, უახლოეს საათებში კი მისი როგორც ევროლიგის, ასევე ვთბ-ლიგის განაცხადში შეყვანა მოხდება.

ცნობისთვის, რუსეთის ნაკრების ექს-კაპიტანი ევროლიგაში ბოლოს 2011-12 წლების სეზონში თამაშობდა და იმავე ცსკა-ს მაისურით საშუალოდ 14 ქულას და 7 მოხსნას აგროვებდა.

„მოხარული ვარ, რომ იმ გუნდში დავბრუნდი, რომელშიც კარიერის დასაწყისში ვთამაშობდი. ვგრძნობ, რომ მალე პროფესიულ დონეზე თამაშის დასრულების დრო მოვა. ამდენად, მინდა, ეს საყვარელი კლუბის მაისურით გავაკეთო“, — განაცხადა კირილენკომ, რომელიც მოსკოვურ გრანდშიც 47-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

ალონსო — ჰოსპიტალში

ბარსელონას ტესტების მეოთხე დღეს ფერნანდო ალონსოს ავარია მოუვიდა, რის შემდეგაც ის ვერტმფრენით ქალაქის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ავარია ტრეკის მესამე, სწრაფ მოსახვევში მოხდა, სადაც მანქანა ბალახებში გადავიდა და კედელს მარჯვენა მხრით დაეჯახა. ავარია არ იყო ძლიერი, მაგრამ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს მაინც ადგილობრივ მედცენტრში გადაყვანა დასჭირდა.

როგორც „მაკლარენის“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, ალონსო ტრეკზევე გაესაუბრა ექიმებს და მედცენტრშიც მათ კითხვებს პასუხობდა. მაგრამ ასეთი შემთხვევებისთვის არსებული პროცედურების შესაბამისად, ის მაინც ჰოსპიტალში გადაიყვანეს, რათა ტრავმები გამოერიცხათ.

ტრეკის მედპერსონალმაც აღნიშნა, რომ ალონსოს გონება არ დაუკარგავს და ექიმებს გაესაუბრა. პერსონალმა შემთხვევის ადგილზე ის მანქანიდან ამოსული და მის გვერდზე ჩამომჯდარი ნახა. უფრო მეტიც, ზოგ ფოტოზე ჩანს, რომ ესპანელი ბალახზე იწვა.

მისი მანქანა სერიოზულად არც კი დაზიანებულა. მექანიკოსებმა ის სწრაფად შეაკეთეს, რის შემდეგაც ტრასაზე გამოსვლა ჯენსონ ბატონმა დააპირა, თუმცა, გუნდმა გადაიფიქრა და ტესტები შეწყვიტა.

ბადრი იაშვილი

◎ ჩემპიონთა ლიგა

როისი: შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს

დორტმუნდის „ბორუსიას“ შემტევმა მარკო როისმა ტურინის „იუვენტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველ მატჩში (1:2) დამარცხების შემდეგ განაცხადა, რომ გერმანელები დაცვაში კარგად გამოიყურებოდნენ, თუ ორი გაშვებული გოლის მომენტს არ ჩავთვლით.

„დაცვაში უკეთესად გამოვიყურებოდით, იმ ორი გაშვებული გოლის ეპიზოდის გარდა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მატჩს ვაკონტროლებდით, მაგრამ ტაიმის მიწურულს სულელური გოლი გავუშვით. განმეორებით მატჩში მსგავსი შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ. სტუმრად ერთი გოლი გავიტანეთ და იმედიანად ვარ. „დორტმუნდს“ ბუნდესლიგაში შესვენების შემდეგ სათამაშო კონდიციები აკლია, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს.“ — განაცხადა როისმა.

„დორტმუნდსა“ და „იუვენტუსს“ შორის განმეორებითი შეხვედრა გერმანიაში 18 მარტს გაიმართება.

გიორგი ზოთაძე

ენრიკე: „ბარსელონასთვის“ ანგარიშს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ მოვიგეთ

„ბარსელონას“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ სტუმრად „მანჩესტერ სიტისთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი 1/8-ფინალური მატჩის მოგების (2:1) შემდეგ ინგლისში მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ბარსელონამ“ დიდებული მატჩი ჩაატარა. მიზანი გამარჯვება იყო, ჩვენ მოვიგეთ და სხვა დეტალები არ არის მნიშვნელოვანი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს „სიტის“ მაღალი კლასი და არ უნდა მოვდუნდეთ. დღეს კმაყოფილი ვარ თითოეული მოთამაშით და ვულოცავ მათ ამ გამარჯვებას. რაც შეეხება მესის ვერგატანილ პენალტს, მსგავსი რამ შეიძლება ნებისმიერს დაემართოს. არ აქვს მნიშვნელობა, რა ანგარიშით მოვიგებდით, მთავარია, გასვლით მატჩში ვიმარჯვეთ“, — ენრიკეს სიტყვებს უეფას ოფიციალური ვებგვერდი ციტირებს.

ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალურ მატჩში „სიტი“ ინგლისში „ბარსელონასთან“ 1:2 დამარცხდა. ლუის სუარესმა დუბლი შეასრულა, ხოლო მანჩესტერული კლუბიდან ერთი ბურთი აგუერომ გაქვითა. მატჩის 94-ე წუთზე ლეო მესის პენალტი ჯო ჰარტმა აუღო.

ამ გუნდებს შორის განმეორებითი შეხვედრა ბარსელონაში 18 მარტს გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაც დათესა...

მატჩი სამი მატჩით დასაჯეს

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ნემანია მატიჩის საქმე გამოიძია და სერბეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

21 თებერვალს ლონდონის „ჩელსის“ და „ბარნლის“ საპრემიერლიგო მატჩის 70-ე წუთზე ნემანია მოედნიდან გააძევეს. ეშლი ბარნსმა მატიჩის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა, ფეხში ფეხი ჩაარტყა, რის შემდეგაც მატიჩი მეტოქეს მიუვარდა და მოედანზე სიტუაცია დაიძაბა. მთავარმა არბიტრმა „ბარნლის“ თავდამსხმელს ყვითელი ბარათიც კი არ მისცა, ბალკანელი კი წითელი ბარათით დასაჯა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით „არისტოკრატები“ აღშფოთდნენ და მატიჩის დისკვალიფიკაციას გააპროტესტებენ.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან



ანა კურნიკოვას მკერდის ამბავი

ერთ დროს პოპულარული, ვეტერანი რუსი მეჩოგნე ქალი ანა კურნიკოვა თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბარში მის კარიერასა და თავსგადამხდარ ძველ ამბებს იხსენებს და მან გახსენება-გახსენებაში ისეთი ისტორიებიც წამოაყრანტალა, 10 წლის წინ რომ არ იტყოდა.

მაგალითად, ანა კურნიკოვამ აღიარა, რომ 2002 წელს დიდი კამათი მოუვიდა თავის მწვრთნელთან იმის გამო, რომ მწვრთნელმა მკერდის პლასტიკური ქირურგიის გზით გაზრდა აუკრძალა, მას კი მაშინდელი გულისსწორი, ჰოკეისტი პაველ ბურე ეაჯებოდა — შენი დიდი ძუძუები სიზმარშიც კი მელანდებაო.

საბოლოოდ მწვრთნელმა მაინც თავისი გაიტანა და მკერდის ოპერაცია რუსმა მეჩოგნემ მხოლოდ კარიერის დასრულების შემდეგ გაიკეთა. როგორც კურნიკოვა იხსენებს, მისი მწვრთნელის აზრით, ჩოგბურთელი ქალისათვის დიდი მკერდი და მსგავსი „ფინთიკლუშკები“ ყოვლად არასაჭირო და ზედმეტია. აბა ახლა ერთი ჩვენ გვკითხოს...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ თავში საცემი!

თუ ქვეყნის პრიზისიდან გამოყვანა გვსურს!

უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს საქმე ტრიალებს პრესაში. რადიო-ტელევიზიითაც არაერთხელ გაიჟღერა, რომ ქართველმა მეცნიერებმა, ერისკაცებმა შეიმუშავეს მართლაც საშვილიშვილო, მამულიშვილური პროგრამა, რომლის განხორციელების შემდეგ, საქართველოს ყველა რეგიონში იმოქმედებს სასმელი წყლის ჩამოსასხმელი ქარხნები, დასაქმდება ასი ათასობით კაცი, სახელმწიფოს ექნება 10-15 მილიარდი დოლარი შემოსავალი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ აქციონერი იქნება თითქმის ყველა. ის კი არა, ბავშვი რომ დაიბადება, ისიც მოწილე გახდება და მისი მომავალი უზრუნველყოფილი იქნება.

საქმე ეხება ქართული დაბალმინერალიზებული სასმელი წყლის მსოფლიო ბაზარზე გატანის ბიზნესს. თუ რას ნიშნავს ეს, კიდევ ერთხელ დასტურად მოვიყვანთ ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელის, აკადემიკოს პაატა გიორგაძის წერილიდან ერთ ამონარიდს: **„ამ ბიზნესის განხორციელების შემდეგ საქართველო შეძლებს, გახდეს კუვეიტის მსგავსი ქვეყანა, რომელსაც არ ექნება უცხოეთის ვალები და ბავშვები რამდენიმე ათას დოლარიანი ვალით კი არ დაიბადებიან, არამედ დაბადებიდანვე ანგარიშზე ექნებათ საკმაოდ სოლიდური თანხა“.**

მარტო იმიტომ უნდა ეზრუნა ახალ ხელისუფლებას ამ საქმის მოგვარებით, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას. ეს იცოდა სააკაშვილის ხელისუფლებამ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ის ამას არ გააკეთებდა. მაგრამ ეს ხომ იცის ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, ეს ხომ იცის ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა. დიახ, ამ ხელისუფლების ეკონომიკურმა გუნდმაც კარგად იცის. და რომ იცის და აკეთებს ამიტომაა ეს თავში საცემი. თავში საცემია, პროექტიც, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გაახმიანა ირანში ვიზიტის დროს. საქმე ეხება მილებით სასმელი წყლით გატანას, რაც დაუშვებელია. ქართველ მეცნიერთა პროექტით კი წყლის დანაკარგი სულ რაღაც 0,7% იქნება.

ჩვენ საგანგებოდ თავს ვიკავებთ ვრცლად ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის სიკეთეებზე ლაპარაკისგან, თანაც იმდენჯერ დაიწერა გაზეთებში ამ ბიზნესის თაობაზე, რომ ქვეყნის მესვეურთ წაკითხული უნდა ჰქონდეთ. თუმცა, უკვე გვეეჭვება, რომ ამ ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე როგორც წინა ხელისუფალნი, გაზეთებს საერთოდ არ კითხულობენ.

ჩვენ, რუსთაველ აქტივისტთა ერთი ნაწილი, წლების მანძილზე ვმონაწილეობთ ამ პროექტის საინიციატივო ჯგუფში, ამიტომაც მოვითხოვთ ხელისუფლებისგან — თუ მას სურს, ქვეყანა გამოიყვანოს კრიზისიდან, სასწრაფოდ დაიწყოს მუშაობა ამ პროექტის განხორციელებაზე, რამეთუ ინვესტორები ამერიკიდან და ისრაელიდან მილიარდებს არ იშურებენ საამისოდ.

ზურაბ გიორგაშვილი,
შრომის ვეტერანი, დამსახურებული, ინჟინერი;

მურად გოგიტიშვილი,
დამსახურებული ინჟინერი;

გიორგი ჩალაძე
ქ. რუსთავის საპატიო მოქალაქე,
მოქანდაკე, მხატვარი;

ალმარ ლომიძე,
პედაგოგი, ჟურნალისტი;

შალვა შემაზაშვილი,
შრომის ვეტერანი;

გივი ჯაახუა,
საქ. დამსახურებული ჟურნალისტი, მწერალი, ქ. რუსთავის საპატიო მოქალაქე

... სულ 150 ხელმოწერა.

◎ ალიან-ჩალიანი

„გალფის“ თანამშრომლებმა 52 ტონა საწვავი მიითვისეს

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, იგივე „გალფის“ კონტროლის განყოფილების ორ თანამშრომელი ზაზა ირემაშვილი და ჯიმშერ აბულაძე დააკავეს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განუცხადეს.

მათივე ცნობით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გამოძიების ამ ეტაპზე გამოვლენილია ყალბი სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების დამზადება-გამოყენების ფაქტები.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში ბრალდებულების ორგანიზებით განხორციელდა კომპანიაში არსებული 52 ტონა აღურიცხავი საწვავის, ყალბი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე ბაზებიდან სხვადასხვა ავტოგასამართ სადგურებზე ფიქტიურად გაწერა. გამოძიების მიერ ყალბი საგადასახადო დოკუმენტების ჯგუფურად დამზადება-გამოყენების ფაქტზე ამ ეტაპზე დაკავებული იქნენ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, კონტროლის განყოფილების თანამშრომლები ზაზა ირემაშვილი და ჯიმშერ აბულაძე. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები, ასევე საბუღალტრო რევიზია ბიუჯეტთან ანგარიშსწორების კანონიერების დადგენის მიზნით“, — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

„აკვარიუმის“ მეოთხე სართულიდან ახალგაზრდა ქალი გადმოხტა

ბათუმში, სასტუმრო „აკვარიუმში“ ინციდენტი მოხდა. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, უზბეკთის მოქალაქე, 25 წლის ქალი სასტუმროს მეოთხე სართულიდან გადმოხტა.

დაშავებული ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობს. მედიკოსები ამბობენ, რომ მას სასწრაფოდ ოპერაცია სჭირდება, მოტეხილი აქვს ორივე მენჯის ძვალი, ტრავმა საკმაოდ მძიმეა, თუმცა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

არსებული ინფორმაციით, გოგონა სასტუმროს მეოთხე სართულიდან გადმოხტა, ჯერ მანქანას დაენარცხა, შემდეგ კი - მიწაზე დავარდა.

თვითმხილველების ცნობით, გოგონა ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოპერაციის ხარჯები დაახლოებით 5 ათას ლარს შეადგენს. ვინაიდან იგი უცხოეთის მოქალაქეა, მასზე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ გავრცელდება.

დააყაჩაღეს გაზგასამართი სადგური

ყაჩაღობა **მოხდა ფოთში. სამშაბათს, გვიან ღამით ორმა ნიღბიანმა პირმა ქალაქის ცენტრში განთავსებული მოძრავი გაზგასამართი სადგური დააყაჩაღა.**

ყაჩაღობისას მუქარის ძალით მძარცველებმა 112 ლარი წაიღეს. შემთხვევის ადგილზე გაზგასამართ სადგურზე ორი თანამშრომელი და ტაქსის მძღოლი იმყოფებოდნენ. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

◎ თერმულ-მინერალური წყლის ბაზარი

„ავი ძაღლი“ მონოპოლისტი და გაუქტიურებული კონკურენციის სააგენტო

თავის **დროზე ანტიმონოპოლიური (კონკურენციის სააგენტო) სამსახური სააკაშვილის რეჟიმმა „შევარდნაძის გადმონაშთის“ მიზეზით გააუქმა. ახსნა კი ასეთი გააკეთეს — ჩვენ არ დავუშვებთ მონოპოლიებს, არაკონკურენტულ გარემოსო. მაგრამ ხალხისთვის მიცემული ეს პირობაც პირველივე არჩევნების შემდეგ დაივიწყეს და თანაც როგორ.....**

ერთ- ერთი ასეთ სფერო თერმულ-მინერალური წყლების ბაზარია. თავის დროზე პრეზიდენტყოფილის მამამ სრულად შეისყიდა „თბილისი ბალნეოლოგიური“ (მიზერულ ფასად). მის გარემონტებაში, მოდერნიზებასა და გადაიარაღებაში, მიშა სააკაშვილს უდიდესი დახმარება გაუწია აწ გარდაცვლილმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა. როგორ დაუფასეს მას შემდგომ ამაგი მამა-შვილმა სააკაშვილებმა ყველასათვის ცნობილია.

სამკუნალო წყლებით დაინტერესება მხოლოდ უფროსი სააკაშვილის მისწრაფება არ ყოფილა. ცოტა ხნის წინათ, ახლად (თავიდან) დაფუძნებულ კონკურენციის სააგენტოს თხოვნით მიმართა სააქციო საზოგადოება „ჯანმრთელობის“ დირექტორმა ემზარ გაგნიძემ. ის სააგენტოს სთხოვდა, გარკვეულიყო ბალნეოლოგიურ კურორტ წყალტუბოში თერმული წყლების მონოლოპიზაციის საკითხებში. განმცხადებელი თავის წერილში აღნიშნავს, რომ სამკურნალო სანატორიუმების „იმერეთისა“ და „წყალტუბოს“ მფლობელს თერმული წყლები სრულად აქვს მონოპოლიზებული, რაზეც აქვს წინა ხელისუფლების მიერ გაცემული ლიცენზია. ერთპიროვნული მმართველობის პირობებში, გამოუყენებელი რჩება გარკვეული რაოდენობის წყალი, ხოლო მფლობელი წინააღმდეგია საქართველოს ბუნებრივი რესურსის, მინერალური წყლების რაღაც რაოდენობა, სხვა, ამ შემთხვევაში კონკურენტ ორგანიზაციას მიჰყიდოს.

წყალტუბოს სანატორიუმს „საქართველოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი თემურ ბაბუნაშვილი აცხადებს, რომ მისი 500- ადგილიანი სამკურნალო დაწესებულება, სამუშაო პირობების არ არსებობის გამო მთლიანად პარალიზებულია და იქ დევნილები არიან შესახლებულნი. ბაბუნაშვილი საუბრობს იმ ეკონომიკურ სარგებელზე, რასაც სანატორიუმი მისცემს ქვეყანის ხაზინას, წყალტუბოს ბიუჯეტს. დაასაქმებს ასეულობით ადამიანს, მათ შორის პროფესიონალებს, რომლებიც იძულებულნი არიან სხვა, მათთვის უცხო საქმიანობით ირჩინონ თავი, არადა მონოპოლისტი კატეგორიული წინააღმდეგია წყლის ნებისმიერი რაოდენობით გაყიდვის, მაშინ, როდესაც თავად რჩება გამოუყენებელი თერმული წყლის დიდი მოცულობა.

ანტიმონოპოლიური სამსახურისადმი მიმართვებს უკვალოდ არ ჩაუვლიათ. სააგენტომ გამოითხოვა და მიიღო შესაბამისი დოკუმენტაცია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროსგან, შემოსავლების სამსახურიდან და წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან. ასევე მიღებულია მინერალური წყლების მფლობელთა პოზიცია. მაკონტროლებელში აცხადებენ, რომ უკვე შესწავლილია წარმოდგენილი საბუთები და ამჟამად მიმდინარეობს მათი კომპლექსური შეჯერება.

კონკურენციის სააგენტოს ერთ-ერთ თანამშრომელთან პირად საუბარში (ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ) შევეხეთ თბილისის ბალნეოლოგიურის საკითხსაც. მოსაუბრემ გვითხრა, რომ ამ სამკურნალო დაწესებულებების შესახებაცაა კრიტიკული შენიშვნები შემოსული, მაგრამ ხელ-ფეხი გვაქვს შეკრული, იმისათვის რომ დაიწყოს მოკვლევა. ოპონენტები პოლიტიკურ სარჩულს დაუდებენ — საკაშვილის იჯახის წევრებს დევნიან და ავიწროებენო. არ დავიწყოთ და მომჩივნები გვრჩებიან უკმაყოფილონი — განცხადებაზე არ რეაგირებენო. ამ კუთხით საინტერესო მოსაზრება აქვს ზოგიერთ იურისტს. მათი აზრით, ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, საკაშვილისდროინდელი ხელდასხმული მონოპოლისტები ყველა სფეროში არიან. რა, მათი რიდით სამართლიანობა არ უნდა აღდგეს? — კითხულობენ იურისტები.

ზაზა ბილიხოძე

◎ იცოდით?

ეპიდემიები ციფრებსა და ფაქტებში

ეპიდემია — ესაა გავრცელებული ინფექციური დაავადება, რომელიც მნიშვნელოვნად აჭარბებს მოცემულ ადგილზე ჩვეულებრივ დაავადებათა დონეს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კრიტერიუმების თანახმად, ეპიდემიოლოგიურ ზღურბლად ითვლება ტერიტორიის მცხოვრებთა 5 პროცენტის დაავადება, ანდა რომელიმე სოციალური ჯგუფის 5 პროცენტისა.

„ესპანურა“, რომელმაც 1918-1920 წლებში დააზიანა მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილი, პანდემიად ითვლება. პანდემიად შეიძლება ჩაითვალოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლიომიელიტის მსოფლიო გავრცელება.

550 მილიონი კაცი, ანუ პლანეტის მოსახლეობის 29,5 პროცენტი დაავადდა „ესპანურათი“ 18 თვის განმავლობაში. ზოგიერთი მონაცემებით, 40-50 მილიონი კაცი გარდაიცვალა.

„იუსტინიანეს შავი ჭირი“ — ეს არის ისტორიაში პირველი დარეგისტრირებული პანდემია, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის მმართველობის დროს გაჩნდა. მან მაშინდელი ცივილიზებული მსოფლიოს მთელი ტერიტორია მოცვა და ორი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა (541-750 წლები). მისი მსხვერპლი აღმოსავლეთში 100 მილიონი კაცი გახდა, ევროპაში მისგან 25 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა.

60 მილიონი კაცი დაიღუპა ორ ათეულ წელიწადში „შავი სიკვდილისგან“ — ბურბონის შავი ჭირის პანდემიისგან, რომელმაც მოიცვა ჯერ ჩინეთი და ინდოეთი, შემდეგ XIV საუკუნის შუა პერიოდში მონღოლ ჯარებთან და სავაჭრო ქარავნებთან ერთად შეიჭრა ევროპაში.

თანამედროვე მედიცინამ შეძლო მნიშვნელოვანწილად გაერთმია თავი ყვითელი ჭირის, სიფილისის, პოლიომელიტის, ენცეფალიტის ეპიდემიებისთვის. მაინც ანტისანიტარიის, შიმშილის, ხელმოკლეობის პირობებში მათ შეუძლიათ, დაბრუნდნენ.

გრიპის პანდემიები ჩნდება დაახლოებით 30 წელიწადში ერთხელ.

25 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა შიდსით 1981 წლიდან. ამჟამად პლანეტაზე ცხოვრობს 33,2 მილიონი ვიჩ-ინფიცირებული ადამიანი.

ებოლის ვირუსით დასნებოვნების დროს სიკვდილის დონე 90 პროცენტს აღწევს. ეპიდემიამ იფეთქა აფრიკის დასავლეთში. დღემდე ვერ მოინახა ნამდვილი წამალი ამ დაავადების წინააღმდეგ.

ყოველწლიურად დაახლოებით 500 მილიონი კაცი ავადდება მალარიით.

დედამიწის მთელი მოსახლეობის 15 პროცენტზე მეტი ყოველწლიურად ხდება ავად გრიპის ეპიდემიით.

◎ ესეც შენი საბაზრო ეკონომიკა!

უთოფო ყაჩაღობა

სამოსი, ტექნიკა, ჰიგიენური საშუალებები — ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომელთა შეძენისას მომხმარებელი უპირატესობას კონკრეტულ ბრენდს ანიჭებს. ცხადია, კომპანიების მთავარი საზრუნავი, მომხმარებლის ცნობიერებაში მათი ბრენდის დამკვიდრებაა, რაც რეკლამით თუ სხვა საშუალებით მიიღწევა. თუმცა, რამდენად დაცულია მომხმარებელი კონტრაფაქტული საქონლის შეძენისგან? მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები აცხადებენ, რომ საქართველოში ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა.

დაცულია თუ არა მომხმარებელი კონტრაფაქტული საქონლის შეძენისგან?

მომხმარებელი ე.წ. ბრენდულ მაღაზიაშიც კი დაუცველია უხარისხო, პირატული საქონლის შეძენისგან. ალბათ, გახსოვთ, აიფონ+-თან დაკავშირებული სკანდალი. Apple Store Georgia-ს მომხმარებლები მათ მოტყუებაში ადანაშაულებდნენ. საუბარია იმაზე, რომ ტექნიკა პირატული იყო და Apple-თან საერთო არ ჰქონდა. მომხმარებელი კი პატენტს ორიგინალის ფასში იძენდა. ამ თემის შესახებ სხვადასხვა ფორუმებზე უკმაყოფილო მომხმარებელთა კომენტარები მრავლადაა. თუმცა, მეტად ეს საქმე წინ არ წასულა და ორგანიზაციის პასუხისმგებლობის საკითხი ჯერჯერობით არ დამდგარა.

ანალოგიური მდგომარეობაა სამოსისა და ჰიგიენური საშუალებების მხრივ. ცხადია, მომხმარებელი, რომელიც ბაზრობაზე „არმანის," „დოლჩე და განაბას" თუ სხვა ბრენდებით ეტიკეტირებული სამოსს იაფად იძენს, ხვდება, რომ ის ორიგინალური ვერ იქნება. თუმცა, სხვა საკითხია, როცა იგივე პრობლემა ბრენდირებულ მაღაზიაში გვხვდება. ხშირად ორიგინალის ნაცვლად მომხმარებელი პატენტს იძენს და მასში საკმაოდ ძვირსაც იხდის. ეკონომიკური ზარალის გარდა, ჰიგიენური საშუალებების შეძენისას მომხმარებლის ჯანმრთელობას შესაძლოა სერიოზული ზიანი მიადგეს.

თბილისში რამდენიმე ბუტიკი აღმოვაჩინეთ, სადაც „არმანის", „დოლჩე და გაბანს" და სხვა ბრენდული სამოსის პატენტი იყიდება, თანაც საკმაოდ ძვირად. ამას თავისებური ახსნა მოუძებნა ბუტიკის მეპატრონემ: „ბუტიკი პრესტიჟულ უბანში გავხსენით. ჩვენ გვერდით ბრენდული მაღაზიებია, თქვენც ხედავთ. თავიდან ხელმისაწვდომი ფასები დავადეთ 15, 20, 25 ლარი, მაგრამ კლიენტი ვერ მივიზიდეთ. ბუტიკის დახურვას ვაპირებდი, რადგან წაგებაზე წავედი. ბოლო ცდა იყო, სამოსის ფასი გავაოთხმაგე და თქვენ წარმოიდგინეთ, მყიდველი შემოვიდა. ხალხი 20 ლარიან სამოსში 140-ს და მეტს დაუფიქრებლად იხდის. გაოცებული ვარ. სამოსი თურქეთიდან ჩამომაქვს, იქაურ კომპანიებთან ხელშეკრულება გავაფორმე. თუკი ხალხს მოსწონს მოტყუებული იყოს, რა პრობლემაა?! როცა დაბალი ფასები იყო, ცხვირს არავინ ყოფდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ფასდაკლების დროსაც კი მოგებას ვნახულობ".

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციების თქმით, საქართველოში პირატული ტექნიკა ძირითადად დუბაიდან და ჩინეთიდან შემოდის, ხოლო საქონელი და ჰიგიენური საშალებები — თურქეთიდან, ირანიდან და ჩინეთიდან. სამწუხაროდ, ქვეყანაში კონტრაფაქტული და ფალსიფიცირებული საქონლის შემოტანა სახელმწიფოს მიერ არ კონტროლდება. შესაბამისად, არც არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. დაზარალებული კვლავ მომხმარებელია, რომლის უფლებების დაცვა სამართლებრივადაც კი ნულის ტოლია.

ამ მხრივ უცხოეთში ეს პრობლემა მეტნაკლებად დარეგულირებულია. შესაბამისი სამსახურები ფალსიფიცირებული საქონლის გამოვლენით არიან დაკავებული. თუმცა, პირატული საქონლის შეძენისგან არც იქაური მომხმარებელია დაზღვეული.

დარიკო იტალიის ქალაქ ბარში ცხოვრობს... „აქაც ძირითადად ჩინური საქონელია. იგივე ბრენდულ მაღაზიებშიც კი ჩინურებია, სამკერვალოებში ჩინელი მუშახელი ჰყავთ, რომლებიც სამოსს სხვადასხვა ბრენდის ეტიკეტს აკრავენ. რაც ბრენდია, ის ძალიან ძვირი ღირს. მსოფლიო კრიზისის ფონზე ბევრი ბრენდული მაღაზია დაიხურა. თუმცა, ჩინური საქონელი როგორც ჩვენთან არის უხარისხო, აქ ასე არ არის. ბევრად ხარისხიანია," — ამბობს რესპონდენტი ჩვენთან საუბრისას.

ორგანიზაცია **„ანტიკორუფციული კავშირის" თავმჯდომარის გია ბურჯანაძის** თქმით, საქართველოში წლებია, რაც პირატული საქონელი თურქეთიდან და ჩინეთიდან შემოაქვთ. სახელმწიფო კი ამაზე დუმს.

გია ბურჯანაძე: თურქეთში, ჩინეთში უამრავი კომპანიაა, სადაც ნებისმიერი ბრენდის ეტიკეტს ამზადებენ და სამოსს აკრავენ. ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ არის. ზოგადად, მსოფლიოს პრობლემაა. ბრენდული კომპანიები შემდეგ ამის გამო სასამართლოში ჩივიან. ჩვენგან განსხვავებით, საზღვარგარეთ სპეციალური სამსახურებია, რომლებიც ამ თემაზე მუშაობენ. თუმცა, ევროპის ქვეყნებში ფალსიფიცირებულ საქონელს ბაზრის 20-25% უჭირავს. ამ მხრივ საქართველოში კატასტროფული მდგომარეობაა, ფაქტობრივად ბაზარზე საქონლის 80-90% პირატულია. ჩვენი ორგანიზაციის ორი თანამშრომელი თურქეთში, ერთ-ერთ სამკერვალოში იმყოფებოდა, სადაც სამოსს სხვადასხვა ბრენდების ეტიკეტს აკრავდნენ. მუშებად ქართველები ჰყავთ, ისინი კერავენ, ღებავენ, ხეხავენ ჯინსებს, ბრენდის ეტიკეტს აკრავენ და შემდეგ ბაზარზე გააქვთ. ამ გზით აყალბებენ ბრენდებს და აქ რომ ჰგონიათ „არმანი" თუ სხვა ბრენდი შეიძინეს და თავს იწონებენ, სინამდვილეში ყალბია.

— კონტროლი არ მიმდინარეობს?

— არანაირი კონტროლი, ეს სფერო მიშვებულია. არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ პირატული საქონლის შემომტანი გარკვეულ თანხას უხდის ჩინოვნიკებს და ასე ხდება ბაზარზე შემოდინება. სხვა შემთხვევაში, როგორ შეიძლება პატენტი ვერსად აღმოაჩინო?!

— სამართლებრივად რამდენად არის იმის შესაძლებლობა, რომ მომხმარებელმა თავისი უფლებები დაიცვას?

— თუ საქონლის ღირებულება 11 ათას ლარს ან მეტს არ შეადგენს, საქმის წარმოება ვერ დაიწყება. აღნიშნული დანაშაული 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, მე არ მსმენია ვინმეს ეჩივლოს სასამართლოში და პროცესი მოეგოს.

მადონა კოიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის" თავმჯდომარე: „დღესდღეობთ არანაირი ბერკეტი არ არსებობს იმისთვის, რომ მომხმარებლის უფლებები დაცული იყოს. სამწუხაროდ, საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი არ არის. აქედან გამომდინარე, არანაირ ბერკეტზე საუბარი არ შეგვიძლია. მომხმარებელი დაზღვეული არ არის ბრენდის ნაცვლად იაფფასიანი საქონლის შეძენისგან. საქართველოში არ არსებობს იმის პრაქტიკა, რომ მომხმარებელი ინფორმირებული იყოს, ბრენდულ საქონელს იძენს თუ „პატენტს". იგივე პრობლემაა თავის მოვლის საშუალებებზე, თმის საღებავები, შამპუნები, ბალზამები ფალსიფიცირებულია. გარდა იმისა, რომ მომხმარებელი ეკონომიკურ ზარალს ნახულობს, მისი ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დგას."

რესპონდენტის თქმით, ფალსიფიკაციისგან არც ერთი ქვეყანა დაზღვეული არ არის. თუმცა, სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვით და შესაბამისი ბერკეტიც ჰქონდეს: „საქართველოში კონტროლი მხოლოდ სურსათზე ხორციელდება. სამწუხაროდ, საბაჟოზე შემოწმება არ ხდება და ქვეყანაში ფალსიფიცირებული საქონელი შემოდის. საუბარია საკმაოდ ცნობილ ბრენდებზე, თუმცა, მათ შეგნებულად არ დავასახელებ. ძირითადად ჩინეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან შემოაქვთ. მათი ხარისხი ძალიან დაბალია. ხშირად უთქვამთ მომხმარებლებს, რომ სხვა ქვეყანაში შეძენილი შამპუნი ხარისხიანი იყო, ხოლო საქართველოში იგივე დასახელების საქონელი, მკვეთრად განსხვავებულია. შემაშფოთებელია ინფორმაცია „აიფონ+" ქსელის საქონლის შესახებ, რომელიც საერთოდ არ არის „ეფლის" დისტრიბუტორი და საქონელი დუბაიდან შემოაქვთ", — ამბობს მადონა კოიძე.

სალომე გოგოხია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ძალიშვილებო! თუკი თქვენი გულის მოსაგებად ჭაბუკი ნებისმიერ, თუნდაც გიჟურ საქციელს ჩაიდენს, არჩევანის გაკეთებას მაინცდამაინც ნუ იჩქარებთ — იქნებ ეს ყმაწვილი, უბრალოდ, იდიოტია!

* * *

— ჩემმა სტომატოლოგმა მითხრა, რომ ცუდი კბილები მაქვს და საკუთარი კბილის პასტა მომცა, — ეუბნება ქერათმიანი ქალიშვილი დაქალს. — მერე პასტას კბილის ჯაგრისი, პირსახოცი და ფლოსტები მოაყოლა, ბოლოს კი ერთად ცხოვრება შემომთავაზა!

* * *

ოსტანკინოს ტელეკოშკის სიმაღლე ნახევარ კილომეტრს აღემატება და 540 მეტრია. ისე, კაცმა რომ თქვას, 540 მეტრი ტუალეტის ქაღალდის მხოლოდ ათი რულონია!

* * *

...მერე დრო შეიცვალა და დეკაბრისტები ოქტომბრელებმა შეცვალეს...

* * *

ზოოპარკში პატარა გოგონა დამლაგებელ ქალს ეკითხება:

— დეიდა, ის შიმპანზე, გალიაში რომ ზის, კაცია თუ ქალი?

დამლაგებელი გოგონას თავზე ხელს უსვამს და დამრიგებლურად ეუბნება:

— კაცს, შვილო, ფული უნდა ჰქონდეს, ეგ შიმპანზე კი მამრია!

* * *

კაცი ცოლს ლოგინში საყვარელთან წაასწრებს:

— რას აკეთებს ეგ შობელძაღლი ჩვენს ლოგინში?

თვალებმიბნედილი ქალი ნეტარი ხმით უპასუხებს:

— სასწაულებს, ძვირფასო!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24